აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
Academic Board of Akaki
Tsereteli State University

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭო

10 ივლისი, 2020

დადგენილება №73 (19/20)
აწსუ ციტირების წესისა და ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

დამტკიცებულ იქნას აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ციტირების წესი და ინსტრუქცია (აწსუ აკადემიური სტილი) თანდართული ფორმით (დანართი CD-დისკის სახით).

დადგენილება ძალაში შევიდეს 2020 წლის 1 ნოემბრიდან.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
უნივერსიტეტის რექტორი: პროფ. როლანდ კოპალიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ციტირების წესი და ინსტრუქცია
(აწსუ აკადემიური სტილი)

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ციტირების წესი (აწსუ აკადემიური სტილი) ეყრდნობა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ ჩიკაგოს აკადემიურ სტილს, რომელიც ფართოდ გამოიყენება როგორც ჰუმანიტარულ, სოციალურ და საბუნებისმეტყველო, ისე სხვა მეცნიერებებში, გათვალისწინებულ იქნა, ასევე, სხვა ცნობილი უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილებაც.

აღნიშნული წესი დაეხმარება სტუდენტებს, ახალგაზრდა მეცნიერებსა და, ზოგადად, ავტორებს, რომ მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების, სამეცნიერო სტატიების, სამაგისტრო ნაშრომების, სადოქტორო დისერტაციებისა და სხვა სახის წერილობითი ნაშრომების შესრულებისას თუ პუბლიკაციისას გამოყენებული ლიტერატურა და სხვა წყაროები დაიმოწმონ საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო ფორმატით.

ჩიკაგოს აკადემიური სტილი აერთიანებს მითითების ორ ფორმატს: ერთი, ესაა შენიშვნა-ბიბლიოგრაფიის, რომელსაც ციფრით მითითების ფორმატსაც უწოდებენ და, მეორე, ავტორი-თარიღის, ანუ ტექსტში მითითების, ფორმატი. წესი ლიტერატურის ციტირებისა და დამოწმების ორივე სახეს მოიცავს.

მითითების ფორმატის კონკრეტულ ტიპს ირჩევს უნივერსიტეტის სტუქტურული ერთეული (ფაკულტეტი, კვლევითი ცენტრი, დეპარტამენტი, სამეცნიერო ჟურნალი, სადისერტაციო საბჭო და სხვ.). ამასთან, ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, თითოეულმათგანს შესაძლებელია ჰქონდეს დამატებითი მოთხოვნებიც, რომელთა დაცვა, ასევე, სავალდებულოა.

შინაარსი

განმარტებები
აუცილებლად გასათვალისწინებელი რამდენიმე რჩევა

შენიშვნა-ბიბლიოგრაფიის ფორმატი
ბეჭდური წიგნი
- წიგნი ერთი ავტორით
- წიგნის ხელახალი გამოცემა, გარდა პირველისა
- წიგნი ორი, სამი ან მეტი ავტორით
- წიგნი რედაქტორით ავტორის პოზიციაზე
- წიგნი ორი ან სამი რედაქტორით ავტორის პოზიციაზე
- წიგნი, რომლის ავტორი ან რედაქტორია ოთხიდან ათამდე ადამიანი
- წიგნი ავტორით და რედაქტორით
- წიგნი სერიული გამოცემის ფარგლებში
- წიგნი ორგანიზაციის ავტორობით
- წიგნი ავტორის გარეშე
- ნათარგმნი წიგნი
- თავი ან სხვა ნაწილი წიგნიდან, რომელსაც მრავალი ავტორი ჰყავს
- თავი ან სხვა ნაწილი წიგნიდან, რომელსაც ერთი ავტორი ჰყავს

ელექტრონული წიგნები

ელექტრონული წიგნი
ელექტრონული წიგნი, რომელსაც აქვს DOI
ელექტრონული წიგნი, რომელსაც აქვს URL
ონლაინ ენციკლოპედია/ლექსიკონი/ცნობარი, რომელსაც ჰყავს ავტორი
ონლაინ ენციკლოპედიები და ლექსიკონები
ბეჭდური ონლაინ ენციკლოპედიები და ლექსიკონები

ჟურნალების სტატიები

ბეჭდური სამეცნიერო ჟურნალის სტატია
ონლაინ ჟურნალები და გაზეთები
ჟურნალის სტატია, რომელიც მოძიებულია ინტერნეტით და გააჩნია DOI
სამეცნიერო ბაზაში განთავსებული ჟურნალის სტატია DOI-ს გარეშე
პოპულარული/პერიოდული ჟურნალების სტატიები
ბეჭდურ პოპულარულ ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია
სამეცნიერო ბაზაში განთავსებული პოპულარული ჟურნალის სტატია
ინტერნეტში განთავსებული პოპულარული ჟურნალის სტატია

საგაზეთო სტატიები

ბეჭდური გაზეთი
სამეცნიერო ბაზაში განთავსებული გაზეთის სტატია

საჯარო დოკუმენტები

ბეჭდური საჯარო დოკუმენტი
საჯარო დოკუმენტი, რომელიც მოძიებულია ინტერნეტით
საჯარ დოკუმენტი/ ბრძანება/ დადგენილება

სხვა სახის ელექტრონული რესურსი

ვებგვერდი
ვებგვერდი ავტორით
ბლოგი
DVD/ CD
YouTube ვიდეო
პოდკასტი
ვიდეო ვებგვერდიდან

სოციალური მედია

Twitter
Facebook

სხვა წყაროები

ბროშურა/ბუკლეტი
ერთი წყარო ციტირებული მეორეში
საარქივი მასალა
კონფერენციის/ სიმპოზიუმის გამოქვეყნებული მასალები
დისერტაცია
მუსიკალური ნოტები
ნახატი, ფოტოსურათი, სკულპტურა

ბიბლიის, სხვა რელიგიური, კლასიკური და შუა საუკუნეების წიგნების ციტირების თავისებურებები

ცხრილებისა და სურათების დართვისას გასათვალისწინებელი ზოგადი მოთხოვნები

ავტორი-თარიღის ფორმატი

ბეჭდური წიგნი

- წიგნი ერთი ავტორით
- წიგნის ხელახალი გამოცემა, გარდა პირველისა
- წიგნი ორი ან სამი ავტორით
- წიგნი რედაქტორით ავტორის პოზიციაზე
- წიგნი ორი ან სამი რედაქტორით ავტორის პოზიციაზე
- წიგნი, რომლის ავტორი ან რედაქტორია ოთხიდან ათამდე ადამიანი
- წიგნი ავტორით და რედაქტორით
- წიგნი სერიული გამოცემის ფარგლებში
- წიგნი ორგანიზაციის ავტორობით
- წიგნი ავტორის გარეშე
- ნათარგმნი წიგნი
- თავი ან სხვა ნაწილი წიგნიდან, რომელსაც მრავალი ავტორი ჰყავს
- თავი ან სხვა ნაწილი წიგნიდან, რომელსაც ერთი ავტორი ჰყავს

ელექტრონული წიგნი

- ელექტრონული წიგნი
- ელექტრონული წიგნი, რომელსაც აქვს DOI
- ელექტრონული წიგნი, რომელსაც აქვს URL
- ონლაინ ენციკლოპედია/ლექსიკონი/ცნობარი, რომელსაც ჰყავს ავტორი
- ონლაინ ენციკლოპედიები და ლექსიკონები
- ბეჭდური ონლაინ ენციკლოპედიები და ლექსიკონები

ჟურნალების სტატიები

- ბეჭდური სამეცნიერო ჟურნალის სტატია
- ონლაინ ჟურნალები და გაზეთები
- ჟურნალის სტატია, რომელიც მოძიებულია ინტერნეტით და გააჩნია DOI
- სამეცნიერო ბაზაში განთავსებული ჟურნალის სტატია DOI-ს გარეშე
- პოპულარული/პერიოდული ჟურნალების სტატიები
- ბეჭდურ პოპულარულ ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია
- სამეცნიერო ბაზაში განთავსებული პოპულარული ჟურნალის სტატია
- ინტერნეტში განთავსებული პოპულარული ჟურნალის სტატია

საგაზეთო სტატიები

- ბეჭდური გაზეთი
- სამეცნიერო ბაზაში განთავსებული გაზეთის სტატია

საჯარო დოკუმენტები

- ბეჭდური საჯარო დოკუმენტი
- საჯარო დოკუმენტი, რომელიც მოძიებულია ინტერნეტით
- საჯარო დოკუმენტი/ ბრძანება/ დადგენილება

სხვა სახის ელექტრონული რესურსი

- ვებგვერდი
- ვებგვერდი ავტორით
- ბლოგი
- DVD/ CD
- YouTube ვიდეო
- პოდკასტი
- ვიდეო ვებგვერდიდან

სოციალური მედია

- Twitter
- Facebook

სხვა წყაროები

- ბროშურა/ბუკლეტი
- ერთი წყარო ციტირებული მეორეში
- საარქივი მასალა
- კონფერენციის/ სიმპოზიუმის გამოქვეყნებული მასალები
- დისერტაცია

ბიბლიის, სხვა რელიგიური, კლასიკური და შუა საუკუნეების წიგნების ციტირების თავისებურებები

ცხრილებისა და სურათების დართვისას გასათვალისწინებელი ზოგადი მოთხოვნები

განმარტებები

ანოტირებული ბიბლიოგრაფია

ბიბლიოგრაფია, რომელშიც აღწერილობას დართული აქვს ანოტაცია, ახლავს შენიშვნა, რომელიც ახასიათებს, ხსნის ან აფასებს მოხსენიებულ პუბლიკაციას.

ბიბლიოგრაფია

ლიტერატურის ნუსხა, რომელიც მოიცავს წიგნების, სტატიებისა და ინფორმაციის სხვა წყაროების ჩამონათვალს. როგორც წესი, დართულია ტექსტის ბოლოს (შემოკლებით: ბ.).

ელექტრონული რესურსი

ინტერნეტში განთავსებული ყველა სახის მასალა, რომლის დამოწმებაც ხდება ტექსტში.

მითითება

ტექსტში გაკეთებული აღნიშვნა, რომელიც შეიცავს ციტირებული/დამოწმებული წყაროს დასახელებას.

მითითება ტექსტში

ციტირებული/დამოწმებული წყაროს მითითება ტექსტში მოკლედ მხოლოდ გვარით, თარიღით, გვერდით/გვერდებით.

მითითება ტექსტის ბოლოს/ლიტერატურის ჩამონათვალი

ტექსტის ბოლოს დართული ჩამონათვალი, რომელიც შეიცავს ტექსტში ციტირებული/დამოწმებული წყაროს იდენტიფიკაციისათვის აუცილებელ აღწერას.

შემოკლებული მითითება

ციტირებული/დამოწმებული წყაროს განმეორებით მითითება გვერდის ბოლოს (სქოლიოში) მხოლოდ გვარით, მასალის შემოკლებული სახელწოდებით და გვერდით.

შენიშვნა

ტექსტში ან ტექსტის ბოლოს გაკეთებული განმარტებითი ჩანაწერი.

სქოლიო/შენიშვნა

გვერდის ბოლოს განთავსებული შენიშვნა, რომელიც შეიცავს ციტირებული/დამოწმებული წყაროს მითითებას ან სხვა ხასიათის ჩანაწერს, ტექსტშიც და სქოლიოშიც აღინიშნება ერთი და იმავე ციფრით (შემოკლებით: სქ.).

პერიოდული გამოცემები

რეგულარულად გამომავალი/გამოცემული ჟურნალები და გაზეთები.

პოპულარული გამოცემა

ფართო საზოგადოებისათვის განკუთვნილი გამოცემა.

აუცილებლად გასათვალისწინებელი რამდენიმე რჩევა:

ნებისმიერი ტიპის აკადემიურ ნაშრომზე მუშაობის დაწყებისთანავე, ინფორმაციის შეგროვებისას, ჩაიწერეთ ყველა ბიბლიოგრაფიული დეტალი:

- წიგნის შემთხვევაში: ავტორი, რედაქტორი, სათაური, გამოცემის რიგითობა, ტომის ნომერი (არსებობის შემთხვევაში), გამომცემელი, გამოცემის ადგილი;
- სტატიის შემთხვევაში: ავტორი, გამოცემის წელი, სტატიის სათაური, ჟურნალის სათაური, ტომის ნომერი, გვერდის ნომერი;
- ელექტრონული რესურსის შემთხვევაში: ავტორი, სათაური, URL მისამართი, მოძიების თარიღი;
- ერთი და იმავე წყაროს სხვადასხვა ელექტრონული სახით არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიანიჭეთ PDF ფორმატს;
- მსგავსი ჩანაწერები გააკეთეთ სხვა წყაროების შემთხვევაშიც;
- არასდროს გადადოთ გამოყენებული ლიტერატურისა და სხვა წყაროების მახასიათებელების დაზუსტება რედაქტირების ეტაპისათვის;
- საბოლოოდ ლიტერატურა დაიმოწმეთ უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული სტანდარტისა და იმ სტრუქტურული ერთეულის დამატებითი მოთხოვნების შესაბამისად, სადაც უნდა წარადგინოთ თქვენი ნაშრომი.

შენიშვნა-ბიბლიოგრაფიის ფორმატი

შენიშვნა-ბიბლიოგრაფიის ფორმატს, რომელსაც ციფრით მითითების ფორმატსაც უწოდებენ, ჰუმანიტარებისათვის განკუთვლილ ფორმატადაც მიიჩნევენ, რადგან მათ მრავალი სხავადასხვა სახის წყაროს დამოწმება უხდებათ.

ციფრით მითითებისას, გარდა იმისა, რომ ციტირებული/დამოწმებული ლიტერატურა განმარტებულია სქოლიოში, ნაშრომს ბოლოს ერთვის ბიბლიოგრაფია (ანოტირებული ბიბლიოგრაფია). ქართულენოვანი ნაშრომი მიეთითება ქართულ, უცხოენოვანი კი - ორიგინალის ენაზე. ბიბლიოგრაფია იწერება ანბანური რიგით (ჯერ ქართულ, შემდეგ ინგლისურ, შემდეგ კი სხვა უცხო ენებზე).

ტექსტში წყარო მიეთითება ციფრით შემდეგნაირად: მეცნიერი მიიჩნევს, რომ „.....“.[12]

ტექსტში აღნიშნული ციფრის განმარტება ხდება გვერდის ბოლოს სქოლიოში იმავე ციფრის გასწვრივ ([12]....) პირველად სრულყოფილად, განმეორების შემთხვევაში კი - შემოკლებით.

სქოლიოში ავტორი მიეთითება ტრადიციული თანმიმდევრობით (სახელი, გვარი), ბიბლიოგრაფიაში კი - შებრუნებული თანმიმდევრობით (გვარი, სახელი). თუ პუბლიკაციას რამედენიმე ავტორი ჰყავს, მხოლოდ პირველი ავტორი მიეთითება შებრუნებულად (გვარი, სახელი).

შენიშვნები უნდა დაინომროს თანმიმდევრულად და არ შეიძლება გამოყენებულ იქნას დანომვრის შემდეგი მოდელი: 1ა.

ბიბლიოგრაფიაში მეორე და დანარჩენი სტრიქონი უნდა იყოს შეწეული, სქოლიოში კი აბზაცით გამოიყოფა ჩანაწერი.

ბიბლიოგრაფიაში ერთი და იმავე ავტორის რამდენიმე წიგნი მიეთითება ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და ავტორი აღინიშნება რამდენიმე მოკლე ტირეთი. მაგალითად,

ჯავახიშვილი, ივანე. *მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის.* თბილისი: მეცნიერება. 1965.
-------- *პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა მე-19 საუკუნის საქართველოში.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2016.

ყურადღება მიაქციეთ სასვენ ნიშნებს. ბიბლიოგრაფიაში ავტორი, სათაური, გამოცემის ადგილი და სხვა ინფორმაცია გამოიყოფა წერტილებით, სქოლიოში კი - მძიმეებით.

არ შეიძლება შეიცვალოს გამომცემლობის ძველი დასახელება, მაგრამ გამოცემის ადგილი ყოველთვის მიეთითება თანამედროვე დასახელებით (მაგ. თბილისი და არა ტფილისი), თუ გამომცემლობის ადგილად რამდენიმე ქალაქია დასახელებული, მიეთითება მხოლოდ პირველი ქალაქი.

გაითავლისწინეთ, რომ წიგნის დამოწმებისას სათაური მიეთითება დახრილი შრიფტით, სტატიის შემთხვევაში სათაური ისმება ბრჭყალებში, ჟურნალის ან გაზეთის სახელწოდება კი მიეთითება დახრილი შრიფტით (დეტალურად იხ. ქვემოთ).

ტექსტში, ნომრების და თარიღების გარდა, ციფრები იწერება სიტყვით.

ბეჭდური წიგნი

წიგნი ერთი ავტორით

ზოგადი მოდელი: ავტორი (ბ. - გვარი, სახელი, სქ. - სახელი, გვარი), *სათაური,* გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, გამოცემის წელი, გვერდი.

ბიბლიოგრაფიაში მითითება	ჯავახიშვილი, ივანე. *მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის.* თბილისი: მეცნიერება, 1965.
სქოლიოში მითითება	7. ივანე ჯავახიშვილი, *მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის* (თბილისი: მეცნიერება, 1965), 99.
შემოკლებული მითითება	8. ჯავახიშვილი, მასალები, 100.

წიგნის ხელახალი გამოცემა, გარდა პირველისა

ზოგადი მოდელი: ავტორი (ბ. - გვარი, სახელი, სქ. - სახელი, გვარი), *სათაური,* გამოცემის რიგითობა (მერამდენე გამოცემაა), გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, გამოცემის წელი, გვერდი.

ბიბლიოგრაფიაში მითითება	უზნაძე, დიმიტრი. *განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები. განწყობის თეორიის ძირითადი დებულებები.* მე-3 გამ. თბილისი: კოლორი, 2004.
სქოლიოში მითითება	10. დიმიტრი უზნაძე, *განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები. განწყობის თეორიის ძირითადი დებულებები,* მე-3 გამ. (თბილისი: კოლორი, 2003), 205.
შემოკლებული მითითება	11. უზნაძე, *განწყობის ფსიქოლოგიის,* 210.

წიგნი ორი ან სამი ავტორით

ზოგადი მოდელი: ავტორები (ბ. - მხოლოდ პირველი ავტორის გვარი, სახელი, დანარჩენი ავტორების სახელი გვარი), *სათაური,* გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, გამოცემის წელი, გვერდი.

ბიბლიოგრაფიაში მითითება	ბერიაშვილი მამუკა და იოჰანეს ვაისი. *მარტინ ჰაიდეგერის ფილოსოფია სოციალ-თეორიულ მიმართებებში.* თბილისი: მერიდიანი, 2019.
სქოლიოში მითითება	11. მამუკა ბერიაშვილი და იოჰანეს ვაისი, *მარტინ ჰაიდეგერის ფილოსოფია სოციალ-თეორიულ მიმართებებში* (თბილისი: მერიდიანი, 2019), 80.
შემოკლებული მითითება	12. ბერიაშვილი და ვაისი, *მარტინ ჰაიდეგერის ფილოსოფია,* 81.

წიგნი რედაქტორით ავტორის პოზიციაზე

ზოგადი მოდელი: ბ. რედაქტორის გვარი, სახელი (გასწვრივ ყოველთვის მიუთითეთ სიტყვა - რედ.), სქ. სახელი, გვარი, *სათაური,* გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, გამოცემის წელი, გვერდი.

ბიბლიოგრაფიაში მითითება	გაფრინდაშვილი, ლელა, რედ. *გენდერი, კულტურა, თანამედროვეობა.* თბილისი: კავშირი "ქალების ინიციატივა თანასწორობისათვის", 2005.
სქოლიოში მითითება	2. ლელა გაფრინდაშვილი, რედ., *გენდერი, კულტურა, თანამედროვეობა* (თბილისი: კავშირი "ქალების ინიციატივა თანასწორობისათვის", 2005), 45.
შემოკლებული მითითება	3. გაფრინდაშვილი, *გენდერი, კულტურა, თანამედროვეობა,* 46.

წიგნი ორი ან სამი რედაქტორით ავტორის პოზიციაზე

ზოგადი მოდელი: ბ. პირველი რედაქტორის გვარი, სახელი, დანარჩენის სახელი, გვარი (ჩამოთვლის შემდეგ, მიეთითება - რედ-ები.), სქ. თითოეულის სახელი და გვარი (ჩამოთვლის შემდეგ მიეთითება:მ რედ-ები), *სათაური,* გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, გამოცემის წელი, გვერდი.

ბიბლიოგრაფიაში მითითება	რატიანი ირმა და გაგა ლომიძე, რედ-ები. *ლიტერატურის თეორია.* ქრესტომათია, I. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009.
სქოლიოში მითითება	19. ირმა რატიანი და გაგა ლომიძე, რედ-ები. *ლიტერატურის თეორია.* ქრესტომათია, I (თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009), 211.
შემოკლებული მითითება	20. რატიანი და ლომიძე, *ლიტერატურის თეორია,* 212.

წიგნი, რომლის ავტორი ან რედაქტორია ოთხიდან ათამდე ადამიანი

ზოგადი მოდელი: თითოეული ავტორის სახელი, გვარი (რედაქტორების შემთხვევაში გვარების ჩამოთვლის შემდეგ მიეთითება სიტყვა - რედ-ები.), *სათაური,* გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, გამოცემის წელი, გვერდი.

სქოლიოში აღინიშნება პირველი ავტორის (რედაქტორის) სახელი, გვარი და სხვ.

ბიბლიოგრაფიაში მითითება	გამყრელიძე თამაზ, ზაზა კიკნაძე, ინგა შადური, ნანა შენგელია. *თეორიული ენათმეცნიერების კურსი.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003.
სქოლიოში მითითება	2. თამაზ გამყრელიძე და სხვ., *თეორიული ენათმეცნიერების კურსი* (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003), 425.
შემოკლებული მითითება	3. გამყრელიძე და სხვ., *თეორიული ენათმეცნიერების კურსი*, 428.

წიგნი ავტორით და რედაქტორით

ზოგადი მოდელი: ავტორი (ბ. - გვარი, სახელი, სქ. - სახელი, გვარი), *სათაური,* რედაქტორი, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, გამოცემის წელი, გვერდი.

ბიბლიოგრაფიაში მითითება	რუსთაველი, შოთა. *ვეფხისტყაოსანი.* პავლე ინგოროყვას რედაქციით და შენიშვნებით. თბილისი: საჭოთა მწერალი, 1953.
სქოლიოში მითითება	4. შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი,* პავლე ინგოროყვას რედაქციით და შენიშვნებით (თბილისი: საბჭოთა მწერალი, 1953), 385.
შემოკლებული მითითება	5. რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი,* 387.

წიგნი სერიული გამოცემის ფარგლებში

ზოგადი მოდელი: ავტორი (ბ. - გვარი, სახელი, სქ. - სახელი, გვარი), *სათაური,* სერიის სახელწოდება, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, გამოცემის წელი, გვერდი.

ბიბლიოგრაფიაში მითითება	კაკაბაძე, დავით. *ხელოვნება და სივრცე.* სერია „სერაფიტა“. თბილისი: ნაკადული, 1983.
სქოლიოში მითითება	18. დავით კაკაბაძე, *ხელოვნება და სივრცე,* სერია „სერაფიტა“. (თბილისი: ნაკადული, 1983), 135.
შემოკლებული მითითება	19. კაკაბაძე, *ხელოვნება და სივრცე,* 136.

წიგნი ორგანიზაციის ავტორობით

ზოგადი მოდელი: ორგანიზაცია (ავტორად მიუთითეთ იმ შემთხვევაშიც, თუ ეს უკანასკნელი სახელდება, როგორც მხოლოდ გამომცემელი), *სათაური,* გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, გამოცემის წელი, გვერდი.

ბიბლიოგრაფიაში მითითება	ლიტერატურის მუზეუმი. *ცისფერყანწელები.* მიმოწერა, წიგნი I. თბილისი: ლიტერატურის მუზეუმი, 2018.
სქოლიოში მითითება	12. ლიტერატურის მუზეუმი, *ცისფერყანწელები.* მიმოწერა, წიგნი I (თბილისი: ლიტერატურის მუზეუმი, 2018), 301.
შემოკლებული მითითება	13. ლიტერატურის მუზეუმი, ცისფერყანწელები, 302.

წიგნი ავტორის გარეშე

ზოგადი მოდელი: *სათაური,* გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, გამოცემის წელი, გვერდი.

ბიბლიოგრაფიაში მითითება	*ქართული მწერლობა.* ლექსიკონი-ცნობარი, წიგნი I. თბილისი: განათლება, 1984.
სქოლიოში მითითება	5. *ქართული მწერლობა,* ლექსიკონი-ცნობარი, წიგნი I (თბილისი: განათლება, 1984), 121.
შემოკლებული მითითება	6. *ქართული მწერლობა,* 122.

ნათარგმნი წიგნი

ზოგადი მოდელი: ავტორი (ბ. - გვარი, სახელი, სქ. - სახელი, გვარი), *სათაური,* მთარგმნელის სახელი, გვარი, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, გამოცემის წელი.

ბიბლიოგრაფიაში მითითება	ბარტი, როლან. *მითოლოგიები.* მთარგ. ნატალია მთივლიშვილი. თბილისი: აგორა, 2011.
სქოლიოში მითითება	15. ბარტი როლან, *მითოლოგიები,* მთარგ. ნატალია მთივლიშვილი (თბილისი: აგორა, 2011), 168.
შემოკლებული მითითება	16. ბარტი, *მითოლოგიები,* 170.

თავი ან სხვა ნაწილი წიგნიდან, რომელსაც მრავალი ავტორი ჰყავს

ზოგადი მოდელი: ავტორი (ბ. - გვარი, სახელი, სქ. - სახელი, გვარი), თავის (ნაწილის) სათაური, წიგნის *სათაური,* რედაქტორი, თავის (ნაწილის) გვერდების საერთო რაოდენობა, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, გამოცემის წელი, გვერდი. კონკრეტული გვერდი მიეთითება სქოლიოში.

ბიბლიოგრაფიაში მითითება	ყიასაშვილი, ნიკო. „თანამედროვეობა“ და „მოდერნიზმი“. წიგნში *დასავლეთ ევროპის ლიტერაურა (XX საუკუნე).* რედ-ები: ნატალია ორლოვსკაია და ნოდარ კაკაბაძე. 7-42. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1988
სქოლიოში მითითება	20. ნიკო ყიასაშვილი, „თანამედროვეობა“ და „მოდერნიზმი“, წიგნში *დასავლეთ ევროპის ლიტერაურა (XX საუკუნე),* რედ-ები: ნატალია ორლოვსკაია და ნოდარ კაკაბაძე (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1988), 31.
შემოკლებული მითითება	21. ყიასაშვილი, „თანამედროვეობა“ და „მოდერნიზმი“, 35.

თავი ან სხვა ნაწილი წიგნიდან, რომელსაც ერთი ავტორი ჰყავს

ზოგადი მოდელი: ავტორი (ბ. - გვარი, სახელი, სქ. - სახელი, გვარი), თავის (ნაწილის) სათაური, წიგნის *სათაური,* თავის (ნაწილის) გვერდების საერთო რაოდენობა, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, გამოცემის წელი, გვერდი. კონკრეტული გვერდი მიეთითბა სქოლიოში.

ბიბლიოგრაფიაში მითითება	ნებიერიძე, გივი. „ენა და საზოგადოება“. წიგნში *ენათმეცნიერების შესავალი,* 8-40. თბილისი: განათლება, 1991.

სქოლიოში მითითება	3. გივი ნებიერიძე, „ენა და საზოგადოება“, წიგნში *ენათმეცნიერების შესავალი* (თბილისი: განათლება, 1991), 35.
შემოკლებული მითითება	4. ნებიერიძე, „ენა და საზოგადოება“, 37.

ელექტრონული წიგნები

ელექტრონული წიგნი

ზოგადი მოდელი: ავტორი (ბ. - გვარი, სახელი, სქ. - სახელი, გვარი), *სათაური*, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, გამოცემის წელი, URL მისამართი ან ბაზის სახელი, საიდანაც მოძიებულია წიგნი (იმ შემთხვევაში, თუ ასეთ ელექტრონულ რესურს არ აქვს URL მისამართი).

სქოლიოში მიეთითება ფიქსირებული გვერდი ან თავი (თუ წიგნს არ გააჩნია ფიქსირებული გვერდი).

ბიბლიოგრაფიაში მითითება	Symons, Arthur. *Dramatis Personæ.* Indianapolis: The Boobs-Merrill Company, 2020. http://www.gutenberg.org/files/62270/62270-h/62270-h.htm#Maurice_Maeterlinck
სქოლიოში მითითება	9. Arthur Symons, *Dramatis Personæ* (Indianapolis: The Boobs-Merrill Company, 2020), *Maurice Maeterlinck*, chap. 2, http://www.gutenberg.org/files/62270/62270-h/62270-h.htm#Maurice_Maeterlinck
შემოკლებული მითითება	10. Symons, *Dramatis Personæ,* chap.3.

ელექტრონული წიგნი, რომელსაც აქვს DOI

ზოგადი მოდელი: ავტორი (ბ. - გვარი, სახელი, სქ. - სახელი, გვარი), *სათაური,* გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, გამოცემის წელი, URL მისამართი, რომელიც შეიცავს DOI-ს (უნიკალური საიდენტიფიკაციო კოდი).

სქოლიოში მიეთითება ფიქსირებული გვერდი ან თავი (თუ წიგნს არ გააჩნია ფიქსირებული გვერდი).

ბიბლიოგრაფიაში მითითება	Khan, Mohiuddin Ali. *Accelerated Bridge Construction. Best Practices and Techniques.* Oksford: Butterworth-Heinemann. 2015. https://doi.org/10.1016/C2011-0-08185-1
სქოლიოში მითითება	15. Mohiuddin Ali Khan, *Accelerated Bridge Construction. Best Practices and Techniques* (Oksford: Butterworth-Heinemann, 2015), 569, https://doi.org/10.1016/C2011-0-08185-1
შემოკლებული მითითება	16. Khan, *Accelerated Bridge Construction*, 601.

ელექტრონული წიგნი, რომელსაც აქვს URL

ზოგადი მოდელი: ავტორი (ბ. - გვარი, სახელი, სქ. - სახელი, გვარი), *სათაური,* გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, გამოცემის წელი, გვერდი, URL მისამართი.

ბიბლიოგრაფიაში მითითება	ფუტუიამა, დაგლას. *ევოლუცია.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2009. https://library.iliauni.edu.ge/elibrary/teqsturi-satsavi/el-tsignebi/
სქოლიოში მითითება	17. დაგლას ფუტუიამა, ევოლუცია (თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2009), 425, https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/evoluciamtliani.pdf
შემოკლებული მითითება	18. ფუტუიამა, *ევოლუცია,* 427.

ონლაინ ენციკლობედია/ლექსიკონი/ცნობარი, რომელსაც ჰყავს ავტორი

ონლაინ საცნობარო ნაშრომები, რომლებსაც ჰყავს ავტორი, არ აღინიშნება ბიბლიოგრაფიაში. მათი მითითება, როგორც წესი, ხდება სქოლიოში, მაგრამ, თუ მაინც შეიტანთ ბიბლიოგრაფიაში, სრულყოფილად აღწერეთ ყველა შესაძლებელი იდენტიფიკატორი.

ელექტრონული ვერსიის სათაური დახრილი შრიფტით იწერება იმ შემთხვევაში, თუ მას არ გააჩნია ნაბეჭდი ვერსია.

ზოგადი მოდელი: პუბლიკაციის სახელწოდება, კონკრეტული სიტყვა (იხ.„---“), სახელი, გვარი, მოძიების თარიღი, URL მისამართი.

ბიბლიოგრაფიაში მითითება	საზღვაო ლექსიკონი. დიმიტრი ვარძელაშვილი. მოძიებულია 3 ივლისი, 2020, http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=40&t=4133
სქოლიოში მითითება	3. საზღვაო ლექსიკონი, იხ. „ჰიდროაკუსტიკა“, დიმიტრი ვარძელაშვილი, მოძიებულია 3 ივლისი, 2020, http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=40&t=4133

ონლაინ ენციკლოპედიები და ლექსიკონები

ონლაინ საცნობარო ნაშრომები არ აღინიშნება ბიბლიოგრაფიაში. მათი მითითება, როგორც წესი, ხდება სქოლიოში, მაგრამ, თუ მაინც შეიტანთ ბიბლიოგრაფიაში, სრულყოფილად აღწერთ ყველა შესაძლებელი იდენტიფიკატორი.

მუდმივად განახლებადი ელექტრონული რესურსის შემთხვევაში უნდა მიეთითოს გამოქვეყნების ან მოძიების თარიღი.

ზოგადი მოდელი: *სახელწოდება,* კონკრეტული სიტყვა (იხ.„---“), ავტორი, მოძიების თარიღი, URL მისამართი.

ბიბლიოგრაფიაში მითითება	*ქართული ენის ეროვნული კორპუსი.* GNC ახალი ქართული, GNC პოლიტიკური ტექსტები::კონკორდანსი. მოძიებულია 3 ივლისი, 2020. http://gnc.gov.ge/gnc/concordance
სქოლიოში მითითება	15. *ქართული ენის ეროვნული კორპუსი,* GNC ახალი ქართული, GNC პოლიტიკური ტექსტები::კონკორდანსი, იხ. „სამყარო“, მოძიებულია 3 ივლისი, 2020, http://gnc.gov.ge/gnc/concordance?session-id=249438288496073

ბეჭდური ონლაინ ენციკლოპედიები და ლექსიკონები

ზოგადი მოდელი: *სახელწოდება,* რედაქტორის სახელი, გვარი, გამოცემის რიგითობა (პირველის გარდა), ტომი, ტომის გამოცემის თარიღი, კონკრეტული სიტყვა (იხ.„---“).

დაბეჭდილი ონლაინ საცნობარო ნაშრომები არ აღინიშნება ბიბლიოგრაფიაში. მათი მითითება, როგორც წესი, ხდება სქოლიოში.

სქოლიოში მითითება	18. *Folklore. an Encyclopedia of Beliefs, Customs, Tales, Music, and Art*, Edited by Thomas A. Green (1997), s.v. "Folk Culture."

ჟურნალების სტატიები

ბეჭდური სამეცნიერო ჟურნალის სტატია

ზოგადი მოდელი: ავტორი (ბ. - გვარი, სახელი, სქ. - სახელი, გვარი), პუბლიკაციის სახელწოდება, ჟურნალის *სახელწოდება*, ტომის (სერიის) ნომერი, თარიღი, გვერდების საერთო მოცულობა. კონკრეტული გვერდი მიეთითება სქოლიოში.

როდესაც სტატიას რამდენიმე ავტორი ჰყავს, ყველა ავტორი მიეთითება ბიბლიოგრაფიაში, სქოლიოში კი მიეთითება შემდეგნაირად: პირველი ავტორის სახელი, გვარი და სხვ.

ბიბლიოგრაფიაში მითითება	სილაგაძე, აპოლონ. „ქართული მყარი სალექსო ფორმების აღმოსავლური წყაროები“. *სჯანი* 17 (2016): 123-140.
სქოლიოში მითითება	30. აპოლონ სილაგაძე, „ქართული მყარი სალექსო ფორმების აღმოსავლური წყაროები“, *სჯანი* 17 (2016): 129.
შემოკლებული მითითება	31. სილაგაძე, „ქართული მყარი სალექსო ფორმების“, 130.

ონლაინ ჟურნალები და გაზეთები

ჟურნალის სტატია, რომელიც მოძიებულია ინტერნეტით და გააჩნია DOI

ზოგადი მოდელი: ავტორი (ბ. - გვარი, სახელი, სქ. - სახელი, გვარი), სტატიის სათაური. ჟურნალის *სათაური*, ტომის (სერიის) ნომერი, გამოცემის წელი, გვერდები, სქოლიოში მიეთითება კონკრეტული გვერდი.

როდესაც სტატიას რამდენიმე ავტორი ჰყავს, ყველა ავტორი მიეთითება ბიბლიოგრაფიაში, სქოლიოში კი მიეთითება შემდეგნაირად: პირველი ავტორის სახელი, გვარი და სხვ. ბიბლიოგრაფიაში ისევე, როგორც წიგნის ავტორის შემთხვევაში, პირველი ავტორი მიეთითება გვარი სახელის თავმიმდევრობით, დანარჩენი კი ჯერ სახელით და შემდეგ გვარით.

სტატიას მიეთითება DOI ან DOI–ს შემცველი URL მისამართი, DOI-ს არარსებობის შემთხვევაში URL მისამართი.

ბიბლიოგრაფიაში მითითება	Magnifico, Cedric and Bart Defrancq. “Norms and gender in simultaneous interpreting: a study of connective markers.“ *The International Journal for Translation & Interpreting* Research. Vol. 12, No. 1 (2020): 1-17. DOI : 10.12807/ti.112201.2020.a01
სქოლიოში მითითება	20. Cedric Magnifico and Bart Defrancq, “Norms and gender in simultaneous interpreting: a study of connective markers,” *The International*

	Journal for Translation & Interpreting Research, Vol. 12, No. 1 (2020): 8, DOI : 10.12807/ti.112201.2020.a01
შემოკლებული მითითება	21. Magnifico and Defrancq, "Norms and gender," 10.

სამეცნიერო ბაზაში განთავსებული ჟურნალის სტატია DOI-ს გარეშე

ზოგადი მოდელი: ავტორი (ბ. - გვარი, სახელი, სქ. - სახელი, გვარი), სტატიის სათაური, ჟურნალის *სახელწოდება*, ტომის (სერიის) ნომერი, გამოცემის წელი, გვერდების საერთო რაოდენობა, სქოლიოში მიეთითება კონკრეტული გვერდი.

როდესაც სტატიას რამდენიმე ავტორი ჰყავს, ყველა ავტორი მიეთითება ბიბლიოგრაფიაში, სქოლიოში კი მიეთითება შემდეგნაირად: პირველი ავტორი და სხვ.

სტატიას, რომელსაც არ გააჩნია DOI, შესაძლებელია მიეთითოს URL მისამართი ან მონაცემთა ბაზის სახელი.

ბიბლიოგრაფიაში მითითება	Smith, Pamela H. "Experimenting in the Material World and on Paper in sixteenth-century France." *Technee*. 47, (june 2019): 18-29. https://journals.openedition.org/techne/1424
სქოლიოში მითითება	22. Pamela H. Smith, "Experimenting in the Material World and on Paper in sixteenth-century France," *Technee*. 47, (june 2019): 25, https://journals.openedition.org/techne/1424
შემოკლებული მითითება	23. Smith, "Experimenting in the Material," 26.

პოპულარული/პერიოდული ჟურნალების სტატიები

პოპულარულ ჟურნალში/გაზეთში გამოქვეყნებული მასალის შესახებ შესაძლებელია უშუალოდ ტექსტში აღნიშნოთ და არ შეიტანოთ ეს ინფორმაცია სქოლიოში ან ბიბლიოგრაფიაში. მაგრამ თუ, მნიშვნელობის გათვალისწინებით, ასეთი ხასიათის მასალა შეგაქვთ დამოწმებებში, გარდა იმისა, რომ უნდა მიეთითოს სრულყოფილად ყველა ინფორმაციული მახასიათებელი, ინტერნეტიდან მოძიების შემთხვევაში, ასევე, უნდა მიეთითოს URL მისმართი და მოძიების ან გამოქვეყნების თარიღი. თუ სტატიას არ ჰყავს ავტორი, მითითება დაიწყება სათაურით.

ბეჭდურ პოპულარულ ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია

ზოგადი მოდელი: ავტორი (ბ. - გვარი, სახელი, სქ. - სახელი, გვარი), სტატიის სათაური. ჟურნალის *სათაური*, ტომის (სერიის) ნომერი, გამოცემის წელი, გვერდების საერთო რაოდენობა. კონკრეტული გვერდი მიეთითება სქოლიოში.

ბიბლიოგრაფიაში მითითება	კიკნაძე, ზურაბ. „ვახტანგ კოტეტიშვილი - რეტროსპექტული ფიქრები ქართულ კულტურაზე". *არილი,* #1(279), მაისი, 2019, 27-32.
სქოლიოში მითითება	15. ზურაბ კიკნაძე, „ვახტანგ კოტეტიშვილი – რეტროსპექტული ფიქრები ქართულ კულტურაზე", *არილი,* #1(279), მაისი, 2019, 30.
შემოკლებული მითითება	16. კიკნაძე. „ვახტანგ კოტეტიშვილი", 31.

სამეცნიერო ბაზაში განთავსებული პოპულარული ჟურნალის სტატია

ზოგადი მოდელი: ავტორი (ბ. - გვარი, სახელი, სქ. - სახელი, გვარი), სტატიის სათაური. ჟურნალის *სათაური,* ტომის (სერიის) ნომერი, გამოცემის წელი, გვერდების საერთო რაოდენობა.

ამ ტიპის ჟურნალის სტატიას, თუ ის ინტერნეტით არის მოძიებული, უნდა მიეთითოს URL მისამართი. ასეთი მისამართის არარსებობის შემთხვევაში მონაცემთა ბაზის სახელი.

ბიბლიოგრაფიაში მითითება	Carpenter, Zoe. "Health Care: 'A Amoment of Ethical Reckoning." *The Nation.* Vol. 310, Issue 16. 6/15/2020, 12-19. http://web.a.ebscohost.com/ehost/detail/detail?vid=5&sid=e09e1ade-6550-4550-98b2-4176cb369906%40sessionmgr4008&bdata=JnNpdGU9ZWhvc3QtbGl2ZQ%3d%3d#db=afh&AN=143470006
სქოლიოში მითითება	15. Zoe Carpenter, "Health Care: 'A Amoment of Ethical Reckoning." *The Nation,* Vol. 310, Issue 16. 6/15/2020, 13, http://web.a.ebscohost.com/ehost/detail/detail?vid=5&sid=e09e1ade-6550-4550-98b2-4176cb369906%40sessionmgr4008&bdata=JnNpdGU9ZWhvc3QtbGl2ZQ%3d%3d#db=afh&AN=143470006
შემოკლებული მითითება	16. Carpenter, "Health Care", 14.

ინტერნეტში განთავსებული პოპულარული ჟურნალის სტატია

ზოგადი მოდელი: ავტორი (ბ. - გვარი, სახელი, სქ. - სახელი, გვარი), სტატიის სათაური. ჟურნალის *სათაური,* ტომის (სერიის) ნომერი, გამოცემის წელი, არსებობის შემთხვევაში, გვერდების საერთო რაოდენობა, სქოლიოში მიეთითება კონკრეტული გვერდი.

ინტერნეტით მოძიებულ პოპულარული ჟურნალის სტატიას უნდა მიეთითოს URL მისამართი, თუ ასეთი მისამათი არ გააჩნია, მაშინ - მონაცემთა ბაზის სახელი, ასევე, არსებობის შეთხვევაში, უნდა მიეთითოს გვერდიც.

ბიბლიოგრაფიაში მითითება	კეკელიძე, გიორგი. „ეროვნული ბიბლიოთეკის ემიგრაციის დარბაზი და ლევილის ბიბლიოთეკის მომავალი". *ლიბერალი.* #169, აპრილი, 2016. http://liberali.ge/articles/view/22061/erovnuli-bibliotekis-emigratsiis-darbazi--da-levilis-bibliotekis-momavali
სქოლიოში მითითება	20. გიორგი კეკელიძე, „ეროვნული ბიბლიოთეკის ემიგრაციის დარბაზი და ლევილის ბიბლიოთეკის მომავალი", *ლიბერალი,* #169, აპრილი, 2016, http://liberali.ge/articles/view/22061/erovnuli-bibliotekis-emigratsiis-darbazi--da-levilis-bibliotekis-momavali
შემოკლებული მითითება	21. კეკელიძე, „ეროვნული ბიბლიოთეკის ემიგრაციის დარბაზი".

საგაზეთო სტატიები

ბეჭდური გაზეთი

ზოგადი მოდელი: ავტორი (ბ. - გვარი, სახელი, სქ. - სახელი, გვარი), სათაური, გაზეთის *სახელწოდება*, ნომერი, თარიღი.

გაზეთი არ აღინიშნება ბიბლიოგრაფიაში. ის, როგორც წესი, მიეთითება სქოლიოში.

ბიბლიოგრაფიაში მითითება	ჯავახაძე, ვახტანგ. „ისევ გალაკტიონი“, *ლიტერატურული გაზეთი,* #5(261), 13-26 მარტი, 2020.
სქოლიოში მითითება	10. ვახტანგ ჯავახაძე. „ისევ გალაკტიონი“, *ლიტერატურული გაზეთი*, #5(261), 13-26 მარტი, 2020.

სამეცნიერო ბაზაში განთავსებული გაზეთის სტატია

ზოგადი მოდელი: ავტორი (ბ. - გვარი, სახელი, სქ. - სახელი, გვარი), სათაური, გაზეთის *სახელწოდება*, ნომერი, თარიღი.

ინტერნეტით მოძიებულ გაზეთის სტატიას უნდა მიეთითოს URL მისამართი. ასეთის არარებობის შემთხვევაში მონაცემთა ბაზის სახელი. შეგიძლიათ არ მიუთითოთ გვერდი.

ბიბლიოგრაფიაში მითითება	Dunbar, Polly. „Jagger's Black Witch.“ *Mail on Sunday*. 02638878. 2/23/2020. http://web.a.ebscohost.com/ehost/detail/detail?vid=7&sid=1d7e86fc-17c5-4d7a-b50d-749dce7934da%40sessionmgr4008&bdata=JnNpdGU9ZWhvc3QtbGl2ZQ%3d%3d#db=nfh&AN=141867810
სქოლიოში მითითება	25. Polly Dunbar, „Jagger's Black Witch,“ *Mail on Sunday*, 02638878, 2/23/2020, http://web.a.ebscohost.com/ehost/detail/detail?vid=7&sid=1d7e86fc-17c5-4d7a-b50d-749dce7934da%40sessionmgr4008&bdata=JnNpdGU9ZWhvc3QtbGl2ZQ%3d%3d#db=nfh&AN=141867810
შემოკლებული მითითება	26. Dunbar, „Jagger's Black Witch“.

საჯარო დოკუმენტები

ბეჭდური საჯარო დოკუმენტი

ზოგადი მოდელი: გამომცემლობა, *სათაური,* გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, თარიღი, გვერდი. კონკრეტული გვერდი სქოლიოში მიეთითება.

თუ ამ ტიპის დაბეჭდილ დოკუმენტს ჰყავს ავტორი, მიეთითება, როგორც წიგნი.

ბიბლიოგრაფიაში მითითება	საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. *საქართველოს კანონი. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი: (1 იანვრის მდგომარეობით) / საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.* თბილისი : საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2019.
სქოლიოში მითითება	19. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, *საქართველოს კანონი. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი: (1 იანვრის მდგომარეობით) / საქართველოს იუსტიციის სამინისტრო* (თბილისი : საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2019), 320.

შემოკლებული მითითება	20. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, *საქართველოს კანონი,* 325.

ინტერნეტში განთავსებული საჯარო დოკუმენტი

ზოგადი მოდელი: დოკუმენტის მიმღები ორგანო, *სათაური,* პუბლიკაციის ადგილი, გამომცემლობა ან დოკუმენტის მიმღები ორგანო, თარიღი.

გვერდის არსებობის შემთხვევაში სქოლიოში მიეთითება თავი, მუხლი, პარაგრაფი. ინტერნეტით მოძიებულ დოკუმენტს უნდა მიეთითოს URL მისამართი.

ბიბლიოგრაფიაში მითითება	საქართველოს პარლამენტი. *საქართველოს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ.* თბილისი: საქართველოს პარლამენტი,1998. https://matsne.gov.ge/ka/document/view/14704?publication=13
სქოლიოში მითითება	14. საქართველოს პარლამენტი, *საქართველოს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ* (თბილისი: საქართველოს პარლამენტი, 1998), თავი 2, მუხლი 11, 1, https://matsne.gov.ge/ka/document/view/14704?publication=13
შემოკლებული მითითება	15. საქართველოს პარლამენტი, *საქართველოს ბირთვული,* თავი 2, მუხლი 11, 2/ა.

საჯარო დოკუმენტი/ ბრძანება ან დადგენილება

ზოგადი მოდელი: დოკუმენტის მიმღები ორგანო, *სათაური,* პუბლიკაციის ადგილი, გამომცემლობა ან დოკუმენტის მიმღები ორგანო, თარიღი. სქოლიოში მიეთითება კონკრეტული გვერდი.

ინტერნეტით მოძიებულ დოკუმენტს უნდა მიეთითოს URL მისამართი.

ბიბლიოგრაფიაში მითითება	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. *საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-9/ნ ფარმაცევტული პროდუქტის გამოწერის და რეცეპტის ფორმის შესახებ.* თბილისი: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2011. https://www.moh.gov.ge/uploads/files/oldMoh/01_GEO/Kanonmdebloba/Brdzanebebi/01-9N.pdf
სქოლიოში მითითება	10. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. *საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-9/ნ ფარმაცევტული პროდუქტის გამოწერის და რეცეპტის ფორმის შესახებ* (თბილისი: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2011), 4. https://www.moh.gov.ge/uploads/files/oldMoh/01_GEO/Kanonmdebloba/Brdzanebebi/01-9N.pdf
შემოკლებული მითითება	11. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. *მინისტრის ბრძანება №01-9/ნ,* 5.

სხვა სახის ელექტრონული რესურსი

ვებგვერდი

ზოგადად, ვებგვერდიდან გამოყენებული ინფორმაცია (ვებგვერდის შინაარის ფორმით) ეთითება შენიშვნებში, თუ ნაშრომს არ ერთვის სქოლიო, ეთითება ბიბლიოგრაფიაში.

თუ ასეთი სახის ინფორმაციას ციტატის სახით იმოწმებთ, მიეთითება ვებგვერდის ყველა არსებული მახასიათებელი: კონკრეტული გვერდის დასახელება, საიტის აღწერა, საიტის მფლობელი და URL მისამართი, ასევე, ატვირთვის თარიღი, ასეთი მონაცემის არქონის შემთხვევაში კი - მოძიების თარიღი.

ზოგადი მოდელი: ვებგვერდის სახელწოდება, *მასალის სათაური,* მოძიების თარიღი, URL მისამართი.

ბიბლიოგრაფიაში მითითება	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. *„უნივერსიტეტის ისტორია“.* მოძიებულია 16.06.2020. https://atsu.edu.ge/index.php/university-history-geo
სქოლიოში მითითება	25. *„უნივერსიტეტის ისტორია“,* აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოძიებულია 16.06.2020, https://atsu.edu.ge/index.php/university-history-geo
შემოკლებული მითითება	26. *„უნივერსიტეტის ისტორია“.*

ვებგვერდი ავტორით

ზოგადი მოდელი: ავტორი (ბ. - გვარი, სახელი, სქ. - სახელი, გვარი), *სათაური,* სახელწოდება, მასალის სათაური, ატვირთვის თარიღი. ასეთის არარსებობის შემთხვევაში მოძიების თარიღი, ვებგვერდის URL მისამართი.

ბიბლიოგრაფიაში მითითება	წერედიანი, დავით. *„განშორების მეცნიერება“.* ატვირთულია 15.04.2019. https://textualscholarship.blogspot.com
სქოლიოში მითითება	17. დავით, წერედიანი, „განშორების მეცნიერება“, 15.04.2019, https://textualscholarship.blogspot.com/2019/04/blog post_15.html?view=flipcard
შემოკლებული მითითება	18. წერედიანი, „განშორების მეცნიერება“.

ბლოგი

ბლოგიდან ციტირებული მასალა მეთითება ისევე, როგორც ონლაინ გაზეთების წერილი: პოსტის ავტორი, წერილის სათაური (ბრჭყალებში), ბლოგის სათაური (იტალიკით), გამოქვეყნების თარიღი და URL. ბლოგის სათაურს ემატება სიტყვა ბლოგი, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, როდესაც ის არ არის სათაურის ნაწილი. თუ კონკრეტული ბლოგი სხვა უფრო ზოგადი გამოცემის ნაწილია, მაშინ მიეთითება ამ უკანასკნელის სახელიც.

ბლოგის პოსტებიც ისევე, როგორც საგაზეთო წერილები, შესაძლებელია მიეთითოს მხოლოდ ტექსტში ან შენიშვნაში.

ზოგადი მოდელი: ავტორი (ბ. - გვარი, სახელი, სქ. - სახელი, გვარი), სათაური, ბლოგის *სახელწოდება,* ატვირთვის თარიღი. ასეთის არარსებობის შემთხვევაში მოძიების თარიღი, ვებგვერდის URL მისამართი.

ბიბლიოგრაფიაში მითითება	Heath, Victoria. „From Historic Images to Galactic Datasets: A Look at NASA's Mission to Be Open“. *Creative Commons* (Blog). May 25, 2020. https://creativecommons.org/2020/05/25/from-historic-images-to-

	galactic-datasets-a-look-at-nasas-mission-to-be-open/
სქოლიოში მითითება	23. Victoria Heath, „From Historic Images to Galactic Datasets: A Look at NASA's Mission to Be Open", *Creative Commons* (Blog), May 25, 2020, https://creativecommons.org/2020/05/25/from-historic-images-to-galactic-datasets-a-look-at-nasas-mission-to-be-open/
შემოკლებული მითითება	24. Heath, „From Historic Images"

DVD/ CD

ზოგადი მოდელი: ავტორი (ბ. - გვარი, სახელი, სქ. - სახელი, გვარი), *სათაური,* გამოცემის ადგილი, წელი, ციფრული მატარებელი.

ბიბლიოგრაფიაში მითითება	ერქომაიშვილი, ანზორ. *ჩემი ბაბუა არტემ ერქომაიშვილი.* თბილისი, 2015. DVD.
სქოლიოში მითითება	6. ანზორ ერქომაიშვილი, *ჩემი ბაბუა არტემ ერქომაიშვილი* (თბილისი, 2015), DVD.
შემოკლებული მითითება	7. ერქომაიშვილი.

YouTube ვიდეო

ზოგადი მოდელი: ავტორი (ბ. - გვარი, სახელი, სქ. - სახელი, გვარი), სათაური, გამოცემის ადგილი, თარიღი, ციფრული მატარებელი, ატვირთვის დრო.

ბიბლიოგრაფიაში მითითება	ჩარკვიანი, გელა. „the language - როგორ ვსწავლობდი და ვასწავლიდი". 2019. YouTube ვიდეო, 20:01. https://www.youtube.com/watch?v=0ZtCPueHlR4
სქოლიოში მითითება	8. გელა ჩარკვიანი, „the language - როგორ ვსწავლობდი და ვასწავლიდი", 2019, YouTube ვიდეო, 20:01, https://www.youtube.com/watch?v=0ZtCPueHlR4
შემოკლებული მითითება	9. ჩარკვიანი, „the language".

პოდკასტი

ზოგადი მოდელი: ავტორი (ბ. - გვარი, სახელი, სქ. - სახელი, გვარი), სათაური, პოდკასტის *სახელწოდება,* გამოცემის ადგილი, თარიღი, ციფრული მატარებელი, ხანგრძლივობა.

ბიბლიოგრაფიაში მითითება	ბერძენიშვილი, ლევან. „კუბოდან შემოთვლილი სიყვარული". 24 სექტემბერი, 2019. *ლიტერატურული წახნაგები.* პოდკასტი. ვიდეო, 38:08. https://www.radiotavisupleba.ge/a/30181099.html
სქოლიოში მითითება	14. ლევან ბერძენიშვილი, „კუბოდან შემოთვლილი სიყვარული", 24 სექტემბერი, 2019, *ლიტერატურული წახნაგები,* პოდკასტი, ვიდეო, 38:08, https://www.radiotavisupleba.ge/a/30181099.html
შემოკლებული მითითება	15. ბერძენიშვილი, „კუბოდან შემოთვლილი სიყვარული".

ვიდეო ვებგვერდიდან

ზოგადი მოდელი: ავტორი (ბ. - გვარი, სახელი, სქ. - სახელი, გვარი), სათაური, ვებგვერდის *სახელწოდება*, გამოცემის ადგილი, თარიღი, ციფრული მატარებელი, ხანგრძლივობა.

ბიბლიოგრაფიაში მითითება	შმალი, პიტერ. „არქიტექტურის მუზეუმის როლი“. *შემოქმედებითი საქართველო.* 14.11.2017. ვიდეო, 1:16:38. http://creativegeorgia.ge/development/video-leqciebi/arqiteqturis-muzeumis-roli.aspx
სქოლიოში მითითება	16. პიტერ შმალი, „არქიტექტურის მუზეუმის როლი“, *შემოქმედებითი საქართველო,* 14.11.2017, ვიდეო, 1:16:38, http://creativegeorgia.ge/development/video-leqciebi/arqiteqturis- muzeumis-roli.aspx
შემოკლებული მითითება	17. შმალი, „არქიტექტურის მუზეუმის როლი“.

სოციალური მედია

სოციალურ მედიაში (Twitter, Facebook, Instagram...) გაზიარებული პოსტის ციტირება შესაძლებელია მხოლოდ ტექსტში, თუმცა შესაძლებელია მისი სქოლიოში მითითებაც. თუ ავტორი მნიშვნელოვნად თვლის, იშვიათ შემთხვევაში ის შეიძლება მიეთითოს ბიბლიოგრაფიაშიც, როგორც წყარო.

Twitter

ზოგადი მოდელი: სახელი, გვარი, სათაური ან ფრაზა (საკმარისია ოთხი სიტყვა), კონკრეტული მედიის სახელწოდება, თარიღი, საათი (არსებობის შემთხვევაში).

სქოლიოში მითითება	25. Elon Mask (@elonmask), „Open your eyes, look up to the skies“, Twitter, May 23, 2020, 3:24 AM, https://twitter.com/elonmusk/status/1263974008900382721

Facebook

ზოგადი მოდელი: სახელი, გვარი, სათაური ან ფრაზა (საკმარისია ოთხი სიტყვა), კონკრეტული მედიის სახელწოდება, თარიღი, საათი (არსებობის შემთხვევაში).

სქოლიოში მითითება	18. ლევან ბრეგაძე, „როგორ შეიძლებოდა საბჭოთა ტურისტის ცნობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში“, ფეისბუქი, 28 მაისი, 2020, https://www.facebook.com/levan.bregadze.3/posts/10217914746514293

სხვა წყაროები

ბროშურა/ბუკლეტი

ბროშურა/ბუკლეტი მიეთითება ისე, როგორც წიგნი ავტორით ან ავტორის გარეშე. ასეთი მასალის მითითებისას სასურველია ჩაიწეროს დოკუმენტის იდენტიფიცირებისათვის საჭირო ყველა არსებული მახასიათებელი. დაუთარიღებელი პუბლიკაცია აღინიშნება აბრევიატურით - თ.გ. (თარიღის გარეშე).

ბიბლიოგრაფიაში მითითება	საქართველოს ტყეები. მოვლა, აღდგენა, გაშენება. საინფორმაციო ბროშურა. სპონსორები: შპს ჰარმონია, აშშ სოფლის მეურნეობის

	დეპარტამენტი, აშშ საელჩო, შპს გონი. თ. გ.
სქოლიოში მითითება	12. საქართველოს ტყეები. მოვლა, აღდგენა, გაშენება, საინფორმაციო ბროშურა (სპონსორები: შპს ჰარმონია, აშშ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი, აშშ საელჩო, შპს გონი. თ. გ.), 7.
შემოკლებული მითითება	13. საქართველოს ტყეები. 8.

ერთი წყარო ციტირებული მეორეში

ციტირებას მიმართეთ ორიგინალური წყაროდან, მაგრამ თუ გარდაუვალია ციტირება მეორეული წყაროდან, მაშინ აუცილებლად უნდა მიეთითოს ორივე ნაშრომი.

ზოგადი მოდელი: პირველი წყაროს ავტორი (ბ. - გვარი, სახელი, სქ. - სახელი, გვარი), *სათაური*, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, წელი, გვერდი, მეორეული წყაროს ავტორის სახელი, გვარი, *სათაური*, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, წელი, გვერდი.

ბიბლიოგრაფიაში მითითება	ჩიქობავა, არნოლდ. *ზოგადი ენათმეცნიერება,* I, თბილისი, 1939: 174. ციტირებულია გურამ რამიშვილის წიგნიდან: *ენათა შინაარსობრივი სხვაობა ენათმეცნიერებისა და კულტურის თეორიის თვალსაზრისით.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1995, 72.
სქოლიოში მითითება	1. არნოლდ ჩიქობავა, *ზოგადი ენათმეცნიერება,* I, თბილისი, 1939: 174. ციტირებულია წიგნიდან: გურამ რამიშვილი, *ენათა შინაარსობრივი სხვაობა ენათმეცნიერებისა და კულტურის თეორიის თვალსაზრისით.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1995, 72.

საარქივი მასალა

ზოგადი მოდელი: დოკუმენტის სახელწოდება, თარიღი (არსებობის შემთხვევაში). ადგილი, სადაც ინახება, საარქივო მასალა, დოკუმენტის ნომერი.

საარქივო მასალის დამოწმებისას უნდა მიეთითოს დოკუმენტის სახელწოდება, აღწერილობა და ყველა იდენტიფიკატორი დოკუმენტის სპეციფიკისა და მონაცემების გათვალისწინებით.

ბიბლიოგრაფიაში მითითება	ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიწერ-მოწერა სხვადასხვა ორგანიზაციებთან ილია ჭავჭავაძის ძეგლის დადგმის შესახებ 1908-1913 წწ. საქართველოს ეროვნული არქივი. ქშწკგ საზოგადოების საარქივო ფონდი. 1125(№1077) ფურც./დოკ. 101.
სქოლიოში მითითება	1. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიწერ-მოწერა 1908-1913 წწ. (საქართველოს ეროვნული არქივი, ქშწკგ საზოგადოების საარქივო ფონდი, 1125(№1077) ფურც./დოკ. 101).
შემოკლებული მითითება	2. ქშწკგ საზოგადოების საარქივო ფონდი. 1125(№1077) ფურც./დოკ. 101.

კონფერენციის/ სიმპოზიუმის გამოქვეყნებული მასალები

ზოგადი მოდელი: ავტორი (ბ. - გვარი, სახელი, სქ. - სახელი, გვარი), სათაური, კონფერენციის/სიმპოზიუმის *სახელწოდება*, გვერდების საერთო მოცულობა. გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, წელი, URL მისამართი. კონკრეტული გვერდი მიეთითება სქოლიოში.

კონფერენციაზე/სიმპოზიუმზე წაკითხული მოხსენების დამოწმებისას ეთითება ფორუმის ჩატარების თარიღი (დაწყებისა და დამთავრების რიცხვები, წელი), გვერდი, URL მისამართი.

ბიბლიოგრაფიაში მითითება	ჭილაია, რამაზ. „ცვლილებათა ეპოქის ტექსტები“. *ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები: XX საუკუნის 80-90-იანი წლების პოლიტიკური მოვლენები და ლიტერატურული დისკურსი* . XIII საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, ნაწილი I: 315-328. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020.
სქოლიოში მითითება	5. რამაზ ჭილაია, „ცვლილებათა ეპოქის ტექსტები“, *ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები: XX საუკუნის 80-90-იანი წლების პოლიტიკური მოვლენები და ლიტერატურული დისკურსი* , XIII საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, ნაწილი I (თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020), 320.
შემოკლებული მითითება	6. ჭილაია, „ცვლილებათა ეპოქის ტექსტები“, 321.

დისერტაცია

დისერტაცია გამოუქვეყნებელი დოკუმენტია. ასეთი ტიპის მასალის გამოყენებისას ის მიეთითება, როგორც წიგნი, ოღონდ აუცილებლად უნდა იქნას აღნიშნული, დისერტაციის ტიპი და დაცვის ადგილი.

ზოგადი მოდელი: ავტორი (ბ. - გვარი, სახელი, სქ. - სახელი, გვარი), *სათაური,* დისერტაციის ტიპი, დაცვის ადგილი, წელი. URL მისამართი (თუ მასალა მოძიებულია ელექტრონული რესურებიდან).

ბიბლიოგრაფიაში მითითება	ჩუბინიძე, კახა. *საკოორდინატო ღერძების მობრუნება და ინტეგრალთა დიფერენცირება ძვრის მიმართ ინვარიანტული გაზისების მიხედვით.* დისერტაცია მათემატიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016.
სქოლიოში მითითება	7. კახა ჩუბინიძე, *საკოორდინატო ღერძების მობრუნება და ინტეგრალთა დიფერენცირება ძვრის მიმართ ინვარიანტული გაზისების მიხედვით* (დისერტაცია მათემატიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016), 45.

მუსიკალური ნოტები

ზოგადი მოდელი: ავტორი (ბ. - გვარი, სახელი, სქ. - სახელი, გვარი), *სათაური,* გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, გამოცემის წელი, URL მისამართი (თუ მასალა მოძიებულია ელექტრონული რესურებიდან)

ბიბლიოგრაფიაში მითითება	ყანჩელი, გია. 2009. *კინოს და თეატრის მუსიკა ფორტეპიანოსათვის.* რევაზ გაბრიაძის ჩანახატებით. თბილისი: საუნდ ორბიტი, 2009.
სქოლიოში მითითება	5. გია ყანჩელი, *კინოს და თეატრის მუსიკა ფორტეპიანოსათვის,* რევაზ გაბრიაძის ჩანახატებით (თბილისი: საუნდ ორბიტი, 2009).

ნახატი, ფოტოსურათი, სკულპტურა

ზოგადი მოდელი: ავტორი (ბ. - გვარი, სახელი, სქ. - სახელი, გვარი), სახელწოდება, თარიღი (ფოტოსურათის შემთხვევაში გადაღების თარიღი) აღწერილობა (მასალა, ზომა და ა. შ.), ადგილმდებარეობა, URL მისამართი.

თუ ასეთი მასალა დამოწმებულია დაბეჭდილი წყაროდან, მაშინ უნდა მიეთითოს ალბომის (წიგნის) სახელწოდება, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, წელი, გვერდი ან სურათის ნომერი.

ბიბლიოგრაფიაში მითითება	ახვლედიანი, ელენე. „პარიზი“. 1925. ფერწერა, ზეთი, ტილო, ორიგინალის ზომა: 38,5x45,5 სმ. Iverieli. ფიროსმანი: ხელოვნების ციფრული მუზეუმი/ ფერწერა გრაფიკა. http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/89584
სქოლიოში მითითება	8. ელენე ახვლედიანი, „პარიზი“, 1925, ფერწერა, ზეთი, ტილო, ორიგინალის ზომა: 38,5x45,5 სმ. (Iverieli. ფიროსმანი: ხელოვნების ციფრული მუზეუმი/ ფერწერა გრაფიკა). http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/89584

ბიბლიის, სხვა რელიგიური, კლასიკური და შუა საუკუნეების წიგნების ციტირების თავისებურებები

ბიბლია და სხვა რელიგიური წიგნები მიეთითება მხოლოდ სქოლიოში. დასახელებები იწერება შემოკლებით და არაბული ციფრებით, მაგ.: 1 მეფ. 2:16. პირველად დამოწმებისას ფრჩხილებში ეთითება ვერსია, რომლითაც სარგებლობთ. მაგ.: ლუკ. 11:49 (საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, 2009). არ გამოიყენება დახრილი შრიფტი.

კლასიკურ და შუა საუკუნეების ლიტერატურას გააჩნია დამოწმების სპეციფიკური ფორმატი, რომელიც მოიცავს ავტორს, ნაწარმოების სახელწოდებას და სექციის ნომერს, მაგ.: ჰომ. *ილ.* I, 68-70. ბიბლიოგრაფიის შედგენისას ავტორი და სათაური იწერება სრულყოფილად.

ცხრილებისა და სურათების დართვისას გასათვალისწინებელი ზოგადი მოთხოვნები

სამეცნიერო ნაშრომს შესაძლებელია ახლდეს ცხრილები და სურათები (ამ უკანასკნელს ნახატსაც უწოდებენ). სურათებში იგულისხმება დიაგრამები, რუკები, სქემები, გრაფიკები, ფოტოსურათები, ნოტები და სხვა გრაფიკული გამოსახულებები.

არატექსტური მასალის ნაშრომისათვის დართვის დროს მნიშვნელოვანია ზოგიერთი მოთხოვნის გათვალისწინება.

- მცირე ზომის ცხრილები და სურათები უმჯობესია განთავსდეს ტექსტშივე შინაარსის შესაბამის ადგილას.
- თუ ცხრილებისა და სურათების ჩასმა სიდიდის გამო ვერ ხერხდება ტექსტში, თავსდება ნაშრომის ბოლოს დანართის სახით.
- შესაძლებელია რამდენიმე მცირე მოცულობის ცხრილის ან სურათის დაჯგუფება ოღონდ ისე, რომ წარწერებით მკაფიოდ იყოს გამიჯნული ერთმანეთისაგან.
- როდესაც არატექსტურ მასალას იყენებთ სხვა პუბლიკაციებიდან, აუცილებლად მიუთითეთ წყარო. წყარო ეთითება გამოსახულების ქვემოთ, როგორც სქოლიო, ციფრით მითითების ფორმატში. ასეთი მასალის ერთხელ დამოწმებისას საჭირო არ არის ბიბლიოგრაფიაში მითითება.
- ცხრილის ნომერი და სათაური იწერება ცხრილის ზემოთ მარცხნივ სწორებით ძირითად ტექსტზე მცირე ზომის შრიფტით. ჯერ იწერება სახელწოდება ცხრილი, შემდეგ ნომერი არაბული ციფრით, რომლის ბოლოს დაისმის წერტილი (მაგ., ცხრილი 5.). შემდეგ იწერება სათაური, წერტილის გარეშე (მაგ. ცხრილი 5. ექსპორტის ზრდა ქვეყნების მიხედვით). ცხრილის ნომერი ტექსტშიც არაბულით აღინიშნება (მაგ., მე-5 ცხრილში მოცემულია.... ან იხ. ცხრ. 5). როდესაც ცხრილის სათაური იკავებს ერთ სტრიქონზე მეტს, სწორდება მარცხნივ.
- სურათები ინომრება და წარწერები კეთდება ქვემოთ. სურათი ინომრება არაბული ციფრით, რომლის ბოლოს დაისმის წერტილი. წარწერები კეთდება ძირითად შრიფტზე მცირე ზომის შრიფტით მარცხნივ სწორებით. სიტყვა - სურათის შემდეგ იწერება სათაური, რომელიც, ასევე, სრულდება წერტილით. (მაგ., სურათი 2. ქუთაისის ისტორიული მუზეუმი.). სურათის ნომერი ტექსტშიც არაბულით აღინიშნება (მაგ., მე-2 სურათი გამოსახავს.... ან იხ. სურ. 2). როდესაც სურათის სათაური იკავებს ერთ სტრიქონზე მეტს, სწორდება მარცხნივ.
- თუ ერთ ნაშრომს ახლავს როგორც სურათები, ისე ცხრილები, უნდა დაინომროს ცალ-ცალკე (მაგ., სურათი 1., ცხრილი 1.).

ავტორი-თარიღის / ტექსტში მითითების ფორმატი

ავტორი-თარიღის ფორმატს ტექსტში მითითების ფორმატსაც უწოდებენ და მას უმთავრესად სოციალურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში იყენებენ, თუმცა მისი გავრცელების არეალი ფართოა და სხვა მიმართულების სამეცნიერო გამოცემებიც მიმართავენ. ზოგადად, ტექსტში მითითება სამეცნიერო ხასიათის დამოწმებადაც ითვლება.

მიჩნეულია, რომ ავტორი-თარიღის ფორმატი მოსახერხებელია და არ ზრდის ნაშრომის მოცულობას, არ ტვირთავს სქოლიოს, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას განმარტებებისა და შინაარსობრივი შენიშვნებისათვის. ამ ფორმატით წყაროს ციტირებისას/დამოწმებისას ტექსტშივე ფრჩილებში მიეთითება ავტორის გვარი, გამოცემის წელი და კონკრეტული გვერდი. ნაშრომს ბოლოს აქვს დართული ლიტერატურის სია/წყაროების ჩამონათვალი. სიაში ისევე, როგორც ტექსტში, ქართულენოვანი ნაშრომი მიეთითება ქართულ, უცხოენოვანი ნაშრომი კი - ორიგინალის ენაზე. ლიტერატურის ჩამონათვალი იწერება ანბანური რიგით (ჯერ ქართულ, შემდეგ ინგლისურ, შემდეგ სხვა უცხო ენებზე).

ტექსტში წყაროს მიეთითება შემდეგნაირად: მეცნიერი მიიჩნევს, რომ „.....“ (ჯავახიშვილი 1965, 99).

ჩამონათვალში ავტორის გვარი მიეთითება შებუნებული თანმიმდევრობით (გვარი, სახელი). თუ პუბლიკაციას რამედენიმე ავტორი ჰყავს, მხოლოდ პირველი ავტორი მიეთითება ამგვარად (გვარი, სახელი).

ჩამონათვალში მეორე და დანარჩენი სტრიქონი უნდა იყოს შეწეული.

ერთი და იმავე ავტორის რამდენიმე წიგნი მიეთითება ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და ავტორი აღინიშნება რამდენიმე მოკლე ტირეთი. მაგალითად,

ჯავახიშვილი, ივანე. 1965. *მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის.* თბილისი: მეცნიერება.

-------- 2016. *პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა მე-19 საუკუნის საქართველოში.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ერთი ავტორის ერთსა და იმავე წელს გამოცემული რამდენიმე წიგნის მითითებისას გამოიყენება ანბანური რიგი.

ტექსტში: (წერეთელი 2014ა, 167; წერეთელი 2014ბ, 300).

მითითება ასეთივე თანმიმდევრობით უნდა იქნას გადატანილი ჩამონათვალში:

წერეთელი, აკაკი. 2014ა. *თხზულებათა სრული კრებული 20 ტომად.* ტ.4. პოემები. თბილისი: საქართველოს მაცნე.

-------- 2014ბ. *თხზულებათა სრული კრებული 20 ტომად.* ტ.5. დრამატული პოემები. თბილისი: საქართველოს მაცნე.

თუ პუბლიკაციას არ აქვს გამოცემის თარიღი, მაშინ გვარის შემდეგ მიუთითეთ შემდეგნაირად: გვარი, სახელი. თ.გ. (თარიღის გარეშე).

არ შეიძლება შეიცვალოს გამომცემლობის ძველი დასახელება, მაგრამ გამოცემის ადგილი ყოველთვის მიეთითება თანამედროვე დასახელებით (მაგ. თბილისი და არა ტფილისი), თუ გამომცემლობის ადგილად რამდენიმე ქალაქია დასახელებული, მიეთითება მხოლოდ პირველი ქალაქი.

გაითავლისწინეთ, რომ წიგნის დამოწმებისას სათაური მიეთითება დახრილი შრიფტით, სტატიის შემთხვევაში სათაური ისმება ბრჭყალებში, ჟურნალის ან გაზეთის სახელწოდება კი მიეთითება დახრილი შრიფტით (დეტალურად იხ. ქვემოთ).

ტექსტში, ნომრების და თარიღების გარდა, ციფრები იწერება სიტყვით.

ნაბეჭდი წიგნები

წიგნი ერთი ავტორით

ზოგადი მოდელი: გვარი, სახელი (ტექსტში მხოლოდ გვარი), წელი, *სათაური*, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა. გვერდი მიეთითება ტექსტში.

ლიტერატურის ჩამონათვალში მითითება	ჯავახიშვილი, ივანე. 1965. *მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის.* თბილისი: მეცნიერება.
ტექსტში მითითება	(ჯავახიშვილი 1965, 99)

წიგნის ხელახალი გამოცემა, გარდა პირველისა

ზოგადი მოდელი: გვარი, სახელი (ტექსტში მხოლოდ გვარი), წელი, *სათაური,* გამოცემის რიგითობა (მერამდენე გამოცემაა), გამოცემის ადგილი, გამომცემლობა. გვერდი მიეთითება ტექსტში.

ლიტერატურის ჩამონათვალში მითითება	უზნაძე, დიმიტრი. 2004. *განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები. განწყობის თეორიის ძირითადი დებულებები.* მე-3 გამ. თბილისი: კოლორი.
ტექსტში მითითება	(უზნაძე 2004, 205)

წიგნი ორი ან სამი ავტორით

ზოგადი მოდელი: თითოეული ავტორის გვარი, სახელი (ტექსტში მხოლოდ გვარი), წელი, *სათაური,* გამოცემის ადგილი, გამომცემლობა. გვერდი მიეთითება ტექსტში.

როდესაც პუბლიკაციას რამდენიმე ავტორი ჰყავს, ჩამონათვალში ავტორები მიეთითება შემდეგნაირად: პირველი ავტორი - გვარით და სახელით; შემდეგი ავტორები კი - სახელითა და გვარით.

ლიტერატურის ჩამონათვალში მითითება	ბერიაშვილი, მამუკა და იოჰანეს ვაისი. 2019. *მარტინ ჰაიდეგერის ფილოსოფია სოციალ-თეორიულ მიმართებებში.* თბილისი: მერიდიანი.
ტექსტში მითითება	(ბერიაშვილი და ვაისი 2019, 75)

წიგნი რედაქტორით ავტორის პოზიციაზე

ზოგადი მოდელი: რედაქტორის გვარი, სახელი (გასწვრივ ყოველთვის მიუთითეთ სიტყვა - რედ.), წელი, *სათაური,* გამოცემის ადგილი, გამომცემლობა. გვერდი მიეთითება ტექსტში.

ლიტერატურის ჩამონათვალში მითითება	გაფრინდაშვილი, ლელა. რედ. 2005. *გენდერი, კულტურა, თანამედროვეობა.* თბილისი: კავშირი "ქალების ინიციატივა თანასწორობისათვის".
ტექსტში მითითება	(გაფრინდაშვილი 2005, 45)

წიგნი ორი ან სამი რედაქტორით ავტორის პოზიციაზე

ზოგადი მოდელი: პირველი რედაქტორის გვარი, სახელი, შემდეგი რედაქტორის/ების სახელი, გვარი (ტექსტში მხოლოდ გვარი), წელი, (გასწვრივ ყოველთვის მიუთითეთ სიტყვა - რედ.), წელი, *სათაური,* გამოცემის ადგილი, გამომცემლობა. გვერდი მიეთითება ტექსტში.

ლიტერატურის ჩამონათვალში მითითება	რატიანი ირმა და გაგა ლომიძე, რედ-ები. 2009. *ლიტერატურის თეორია.* ქრესტომათია, I. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.
ტექსტში მითითება	(რატიანი და ლომიძე 2009, 211)

წიგნი, რომლის ავტორი ან რედაქტორია ოთხიდან ათამდე ადამიანი

ზოგადი მოდელი: ავტორები (პირველი ავტორი ეთითება გვარი-სახელის თანმიმდევრობით, დანარჩენი - სახელი-ავტორის თანმიმდევრობით), წელი, *სათაური,* გამოცემის ადგილი, გამომცემლობა. გვერდი მიეთითება ტექსტში.

ტექსტში ეთითება შემდეგნაირად: პირველი ავტორის გვარი და სხვ.

ლიტერატურის ჩამონათვალში მითითება	გამყრელიძე თამაზ, ზაზა კიკნაძე, ინგა შადური, ნანა შენგელია. 2003. *თეორიული ენათმეცნიერების კურსი.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
ტექსტში მითითება	(გამყრელიძე და სხვ. 2003, 425)

წიგნი ავტორით და რედაქტორით

ზოგადი მოდელი: გვარი, სახელი (ტექსტში მხოლოდ გვარი), წელი, *სათაური,* რედაქტორის სახელი, გვარი, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა. გვერდი მიეთითება ტექსტში.

ლიტერატურის ჩამონათვალში მითითება	რუსთაველი, შოთა. 1953. *ვეფხისტყაოსანი.* პავლე ინგოროყვას რედაქციით და შენიშვნებით. თბილისი: საბჭოთა მწერალი.
ტექსტში მითითება	(რუსთაველი 1953, 385)

წიგნი სერიული გამოცემის ფარგლებში

ზოგადი მოდელი: გვარი, სახელი (ტექსტში მხოლოდ გვარი), წელი, *სათაური,* სერიის სახელწოდება, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა. გვერდი მიეთითება ტექსტში.

ლიტერატურის ჩამონათვალში მითითება	კაკაბაძე, დავით. 1983. *ხელოვნება და სივრცე.* სერია „სერაფიტა“. თბილისი: ნაკადული.
ტექსტში მითითება	(კაკაბაძე 1983, 135)

წიგნი ორგანიზაციის ავტორობით

ზოგადი მოდელი: ორგანიზაცია (ავტორად მიუთითეთ იმ შემთხვევაშიც, თუ ის სახელდება, როგორც მხოლოდ გამომცემელი), წელი, *სათაური,* გამოცემის ადგილი, გამომცემლობა. გვერდი მიეთითება ტექსტში.

ლიტერატურის ჩამონათვალში მითითება	ლიტერატურის მუზეუმი. 2018. *ცისფერყანწელები.* მიმოწერა, წიგნი I. თბილისი: ლიტერატურის მუზეუმი.
ტექსტში მითითება	(ლიტერატურის მუზეუმი 2018, 301).

წიგნი ავტორის გარეშე

ზოგადი მოდელი: სათაური, წელი, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა. გვერდი მიეთითება ტექსტში.

ლიტერატურის ჩამონათვალში მითითება	*ქართული მწერლობა.* 1984. ლექსიკონი-ცნობარი, წიგნი I. თბილისი: განათლება.
ტექსტში მითითება	(ქართული მწერლობა 1984), 121.

ნათარგმნი წიგნი

ზოგადი მოდელი: გვარი, სახელი (ტექსტში მხოლოდ გვარი), წელი, *სათაური*, მთარგმნელის სახელი, გვარი, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა. გვერდი მიეთითება ტექსტში.

ლიტერატურის ჩამონათვალში მითითება	ბარტი, როლან. 2011. *მითოლოგიები.* მთარგ. ნატალია მთივლიშვილი. თბილისი: აგორა.
ტექსტში მითითება	(ბარტი 2011, 170)

თავი ან სხვა ნაწილი წიგნიდან, რომელსაც მრავალი ავტორი ჰყავს

ზოგადი მოდელი: გვარი, სახელი (ტექსტში მხოლოდ გვარი), წელი, თავის (ნაწილის) სათაური, წიგნის *სათაური*, რედაქტორი, თავის (ნაწილის) გვერდების საერთო რაოდენობა, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა.

წყაროების ჩამონათვალში მიეთითება თავის ან ნაწილის გვერდების საერთო რაოდენობა, ტექსტში კი მხოლოდ კონკრეტული გვერდი.

ლიტერატურის ჩამონათვალში მითითება	ყიასაშვილი, ნიკო. 1988. „თანამედროვეობა“ და „მოდერნიზმი“, წიგნში *დასავლეთ ევროპის ლიტერაურა (XX საუკუნე),* რედ-ები: ნატალია ორლოვსკაია და ნოდარ კაკაბაძე, 7-42. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
ტექსტში მითითება	(ყიასაშვილი 1988, 31)

თავი ან სხვა ნაწილი წიგნიდან, რომელსაც ერთი ავტორი ჰყავს

ზოგადი მოდელი: გვარი, სახელი (ტექსტში მხოლოდ გვარი), წელი, თავის (ნაწილის) სათაური, წიგნის *სახელწოდება*, თავის (ნაწილის) გვერდების საერთო რაოდენობა, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა.

წყაროების ჩამონათვალში მიეთითება თავის ან ნაწილის გვერდების საერთო რაოდენობა, ტექსტში კი მხოლოდ კონკრეტული გვერდი.

ლიტერატურის ჩამონათვალში მითითება	ნებიერიძე, გივი. 1991. „ენა და საზოგადოება“. წიგნში *ენათმეცნიერების შესავალი,* 8-40. თბილისი: განათლება.
ტექსტში მითითება	(ნებიერიძე 1991, 35)

ელექტრონული წიგნები

ელექტრონული წიგნი

ზოგადი მოდელი: გვარი, სახელი (ტექსტში მხოლოდ გვარი), წელი, *სათაური,* წიგნი, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, URL მისამართი ან ბაზის სახელი, საიდანაც მოძიებულია წიგნი (იმ შემთხვევაში, თუ ასეთ ელექტრონულ რესურს არ აქვს URL მისამართი).

ტექსტში მიეთითება ფიქსირებული გვერდი ან თავი (თუ წიგნს არ გააჩნია ფიქსირებული გვერდი).

ლიტერატურის ჩამონათვალში მითითება	Arthur, Symons. 2020. *Dramatis Personæ*. Indianapolis: The Boobs-Merrill Company. http://www.gutenberg.org/files/62270/62270-h/62270-h.htm
ტექსტში მითითება	(Symons 2020, chap. 2)

ელექტრონული წიგნი, რომელსაც აქვს DOI

ზოგადი მოდელი: გვარი, სახელი (ტექსტში მხოლოდ გვარი), წელი, *სათაური,* გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, URL მისამართი, რომელიც შეიცავს DOI-ს.

ტექსტში მიეთითება ფიქსირებული გვერდი ან თავი (თუ წიგნს არ გააჩნია ფიქსირებული გვერდი).

ლიტერატურის ჩამონათვალში მითითება	Khan, Mohiuddin Ali. 2015. *Accelerated Bridge Construction. Best Practices and Techniques.* Oksford: Butterworth-Heinemann. https://doi.org/10.1016/C2011-0-08185-1
ტექსტში მითითება	(Khan 2015, 566)

ელექტრონული წიგნი, რომელსაც აქვს URL

ზოგადი მოდელი: გვარი, სახელი (ტექსტში მხოლოდ გვარი), წელი, *სათაური,* გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, URL მისამართი.

ტექსტში მიეთითება ფიქსირებული გვერდი ან თავი (თუ წიგნს არ გააჩნია ფიქსირებული გვერდი).

ლიტერატურის ჩამონათვალში მითითება	ფუტუიამა, დაგლას. 2009. *ევოლუცია.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. https://library.iliauni.edu.ge/elibrary/teqsturi-satsavi/el-tsignebi/
ტექსტში მითითება	(ფუტუიამა 2009, 425)

ონლაინ ენციკლოპედია/ლექსიკონი/ცნობარი, რომელსაც ჰყავს ავტორი

ონლაინ საცნობარო ნაშრომებს, რომლებსაც ჰყავს ავტორი, როგორც წესი, უთითებენ მხოლოდ ტექსტში, მაგრამ, თუ შეიტანთ ლიტერატურის ჩამონათვალშიც, სრულყოფილად აღწერეთ ყველა შესაძლო იდენტიფიკატორი: პუბლიკაციის სახელწოდება, ავტორი, მოძიების თარიღი, URL მისამართი.

ზოგადი მოდელი: პუბლიკაციის სახელწოდება, კონკრეტული სიტყვა, ავტორის სახელი, გვარი, მოძიების თარიღი, URL მისამართი.

ტექსტში მითითება	საზღვაო ლექსიკონი, იხ. „ჰიდროაკუსტიკა“, დიმიტრი ვარძელაშვილი, მოძიებულია 3 ივლისი, 2020. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=40&t=4133

ონლაინ ენციკლოპედიები და ლექსიკონები

ონლაინ საცნობარო ნაშრომებს, როგორც წესი, უთითებენ მხოლოდ ტექსტში, მაგრამ, თუ შეიტანთ ლიტერატურის ჩამონათვალშიც, სრულყოფილად აღწერთ ყველა შესაძლო იდენტიფიკატორი: პუბლიკაციის სახელწოდება, ავტორი, მოძიების თარიღი, URL მისამართი.

მუდმივად განახლებადი ელექტრონული რესურსის შემთხვევაში უნდა მიეთითოს გამოქვეყნების ან მოძიების თარიღი.

ზოგადი მოდელი: პუბლიკაციის სახელწოდება, კონკრეტული სიტყვა, ავტორი, მოძიების თარიღი, URL მისამართი.

ტექსტში მითითება	*ქართული ენის ეროვნული კორპუსი,* GNC ახალი ქართული, GNC პოლიტიკური ტექსტები::კონკორდანსი, იხ. „სამყარო“, მოძიებულია 3 ივლისი, 2020, http://gnc.gov.ge/gnc/concordance?session-id=249438288496073

ბეჭდური ონლაინ ენციკლოპედიები და ლექსიკონები

ზოგადი მოდელი: პუბლიკაციის სახელწოდება, ტომის გამოცემის თარიღი, რედაქტორი, გამოცემის რიგითობა (პირველის გარდა), ტომი, კონკრეტული სიტყვა (იხ.„---“).

დაბეჭდილი ონლაინ საცნობარო ნაშრომები, როგორც წესი, მიეთითება ტექსტში.

ტექსტში მითითება	Folklore. an Encyclopedia of Beliefs, Customs, Tales, Music, and Art, Edited by Thomas A. Green (1997) s.v. "Folk Culture."

ჟურნალების სტატიები

ბეჭდური სამეცნიერო ჟურნალის სტატია

ზოგადი მოდელი: გვარი, სახელი (ტექსტში მხოლოდ გვარი), წელი, სათაური, ჟურნალის *სახელწოდება*, ტომის (სერიის) ნომერი, წელი, გვერდების საერთო მოცულობა. კონკრეტული გვერდი მიეთითება ტექსტში.

როდესაც სტატიას რამდენიმე ავტორი ჰყავს, ყველა ავტორი მიეთითება ჩამონათვალში, ტექსტში კი მიეთითება შემდეგნაირად: პირველი ავტორი და სხვ.

ლიტერატურის ჩამონათვალში მითითება	სილაგაძე, აპოლონ. 2016. „ქართული მყარი სალექსო ფორმების აღმოსავლური წყაროები“. *სჯანი* 17, 2016: 123-140.
ტექსტში მითითება	(სილაგაძე 2016, 129)

ონლაინ ჟურნალები და გაზეთები

ჟურნალის სტატია, რომელიც მოძიებულია ინტერნეტით და გააჩნია DOI

სტატიები ელექტრონული ჟურნალებიდან, გაზეთებიდან, ბლოგებიდან, ვებსაიტებიდან მიეთითება მსგავსად. ტექსტის ბოლოს დართულ ჩამონათვალში შესაძლებელია განმეორდეს გამოქვეყნების თარიღი. გვერდები შეგიძლიათ მიუთითოთ ტექსტში და გამოტოვოთ ჩამონათვალში. თუ სტატია მოძიებულია ინტერნეტით, უნდა მიეთითოს URL მისმართი ან მონაცემთა ბაზის სახელი.

ზოგადი მოდელი: გვარი, სახელი (ტექსტში მხოლოდ გვარი), წელი, სტატიის სათაური. ჟურნალის *სახელწოდება*, ტომის (სერიის) ნომერი, გვერდები საერთო მოცულობა. კონკრეტული გვერდი მიეთითება ტექსტში.

როდესაც სტატიას რამდენიმე ავტორი ჰყავს, ყველა ავტორი მიეთითება ლიტერატურის ჩამონათვალში, ტექსტში კი მიეთითება შემდეგნაირად: პირველი ავტორი გვარი და სხვ.

სტატიას მიეთითება DOI ან DOI–ს შემცველი URL მისამართი, არარსებობის შემთხვევაში URL მისამართი.

ლიტერატურის ჩამონათვალში მითითება	Magnifico Cedric and Bart Defrancq. 2020. „Norms and gender in simultaneous interpreting: a study of connective markers“. *The International Journal for Translation & Interpreting* Research. Vol. 12, No.1, 2020: 1-17. DOI : 10.12807/ti.112201.2020.a01
ტექსტში მითითება	(Magnifico 2020, 8)

სამეცნიერო ბაზაში განთავსებული ჟურნალის სტატია DOI-ს გარეშე

ზოგადი მოდელი: გვარი, სახელი (ტექსტში მხოლოდ გვარი), წელი, სტატიის სათაური, ჟურნალის *სახელწოდება*, ტომის (სერიის) ნომერი, თარიღი, გვერდების საერთო რაოდენობა. კონკრეტული გვერდი მიეთითება ტექსტში.

როდესაც სტატიას რამდენიმე ავტორი ჰყავს, ყველა ავტორი მიეთითება ლიტერატურის ჩამონათვალში, ტექსტში კი მიეთითება შემდეგნაირად: პირველი ავტორის გვარი და სხვ.

სტატიას, რომელსაც არ გააჩნია DOI, მიეთითითება URL მისამართი ან მონაცემთა ბაზის სახელი.

ლიტერატურის ჩამონათვალში მითითება	Smith, Pamela H. 2019. ”Experimenting in the Material World and on Paper in sixteenth-century France”. *Technee.* 47/ 1 june, 2019: 18-29 https://journals.openedition.org/techne/1424
ტექსტში მითითება	(Smith 2019, 22)

პოპულარული/პერიოდული ჟურნალების სტატიები

პოპულარულ ჟურნალში/გაზეთში გამოქვეყნებული მასალის შესახებ შესაძლებელია უშუალოდ ტექსტში აღნიშნოთ და არ შეიტანოთ ეს ინფორმაცია ლიტერატურის ჩამონათვალში. როდესაც ასეთი მასალა შეგაქვთ ჩამონათვალში, გარდა იმისა, რომ უნდა მიეთითოს სრულყოფილად ყველა ინფორმაციული მახასიათებელი, ინტერნეტიდან

მოძიების შემთხვევაში, ასევე, უნდა მიეთითოს URL მისამართი და მოძიების ან გამოქვეყნების თარიღი. თუ სტატიას არ აჰყავს ავტორი, მითითება დაიწყება სათაურით.

ბეჭდური სტატია

ზოგადი მოდელი: გვარი, სახელი (ტექსტში მხოლოდ გვარი), წელი, სტატიის სათაური. ჟურნალის *სახელწოდება,* ტომის (სერიის) ნომერი, თარიღი, გვერდების საერთო რაოდენობა. კონკრეტული გვერდი მიეთითება ტექსტში.

ლიტერატურის ჩამონათვალში მითითება	კიკნაძე, ზურაბ. 2019. „ვახტანგ კოტეტიშვილი-რეტროსპექტული ფიქრები ქართულ კულტურაზე“. *არილი,* #1(279), 2019: 27-32.
ტექსტში მითითება	(კიკნაძე 2019, 30)

სამეცნიერო ბაზაში განთავსებული პოპულარული ჟურნალის სტატია

ზოგადი მოდელი: გვარი, სახელი (ტექსტში მხოლოდ გვარი), წელი, სტატიის სათაური. ჟურნალის *სახელწოდება,* ტომის (სერიის) ნომერი, თარიღი, გვერდების საერთო რაოდენობა.

ამ ტიპის ჟურნალის სტატიას, თუ ის ინტერნეტით არის მოძიებული, უნდა მიეთითოს URL მისამართი. ასეთი მისამართის არარსებობის შემთხვევაში - მონაცემთა ბაზის სახელი.

ლიტერატურის ჩამონათვალში მითითება	Carpenter, Zoe. 2020. Health Care: 'A Amoment of Ethical Reckoning'. *The Nation.* Vol. 310, Issue 16, 6/15/2020: 12-19. http://web.a.ebscohost.com/ehost/detail/detail?vid=5&sid=e09e1ade-6550-4550-98b2-4176cb369906%40sessionmgr4008&bdata=JnNpdGU9ZWhvc3QtbGl2ZQ%3d%3d#db=afh&AN=143470006
ტექსტში მითითება	(Carpenter 2020, 17)

ინტერნეტში განთავსებული პოპულარული ჟურნალის სტატია

ზოგადი მოდელი: გვარი, სახელი (ტექსტში მხოლოდ გვარი), წელი, სტატიის სათაური, ჟურნალის *სახელწოდება,* ნომერი, თარიღი.

ინტერნეტით მოძიებულ პოპულარული ჟურნალის სტატიას უნდა მიეთითოს URL მისამართი, თუ ეს უკანასკნელი არ გააჩნია, მაშინ - მონაცემთა ბაზის სახელი, ასევე, არსებობის შეთხვევაში, უნდა მიეთითოს გვერდიც.

ლიტერატურის ჩამონათვალში მითითება	კეკელიძე, გიორგი. 2016. „ეროვნული ბიბლიოთეკის ემიგრაციის დარბაზი და ლევილის ბიბლიოთეკის მომავალი“. *ლიბერალი.* #169, აპრილი, 2016. http://liberali.ge/articles/view/22061/erovnuli-bibliotekis-emigratsiis-darbazi--da-levilis-bibliotekis-momavali
ტექსტში მითითება	(კეკელიძე 2016)

საგაზეთო სტატიები

ბეჭდური გაზეთი

ზოგადი მოდელი: გვარი, სახელი (ტექსტში მხოლოდ გვარი), წელი, სათაური, გაზეთის *სახელწოდება,* ნომერი, თარიღი.

გაზეთი, როგორც წესი, მიეთითება ტექსტში.

ლიტერატურის ჩამონათვალში მითითება	ჯავახაძე, ვახტანგ. 2020. „ისევ გალაკტიონი“, *ლიტერატურული გაზეთი,* #5(261), 13-26 მარტი, 2020.
ტექსტში მითითება	(ჯავახაძე 2020)

სამეცნიერო ბაზაში განთავსებული გაზეთის სტატია

ზოგადი მოდელი: გვარი, სახელი (ტექსტში მხოლოდ გვარი), წელი, სათაური, გაზეთის *სახელწოდება,* ნომერი, თარიღი.

ინტერნეტით მოძიებულ გაზეთის სტატიას უნდა მიეთითოს URL მისამართი. ასეთის არარსებობის შემთხვევაში - მონაცემთა ბაზის სახელი. შეგიძლიათ არ მიუთითოთ გვერდი.

ლიტერატურის ჩამონათვალში მითითება	Dunbar, Polly. 2020. „Jagger's Black Witch“. *Mail on Sunday*. 2/23/2020. 02638878. http://web.a.ebscohost.com/ehost/detail/detail?vid=7&sid=1d7e86fc-17c5-4d7a-b50d-749dce7934da%40sessionmgr4008&bdata=JnNpdGU9ZWhvc3QtbGl2ZQ%3d%3d#db=nfh&AN=141867810
ტექსტში მითითება	(Dunbar 2020)

საჯარო დოკუმენტები

ბეჭდური საჯარო დოკუმენტი

ზოგადი მოდელი: გამომცემლობა, წელი, *სათაური,* გამოცემის ადგილი, გამომცემლობა. კონკრეტული გვერდი მიეთითება ტექსტში.

თუ დაბეჭდილ დოკუმენტს ჰყავს ავტორი, მიეთითება, როგორც წიგნი.

ლიტერატურის ჩამონათვალში მითითება	საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 2019. *საქართველოს კანონი. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი: (1 იანვრის მდგომარეობით) / საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.* თბილისი : საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.
ტექსტში მითითება	(საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 2019, 320)

ინტერნეტში განთავსებული საჯარო დოკუმენტი

ზოგადი მოდელი: დოკუმენტის მიმღები ორგანო, წელი, *სათაური,* პუბლიკაციის ადგილი, გამომცემლობა ან დოკუმენტის მიმღები ორგანო. გვერდის არარსებობის შემთხვევაში, ტექსტში მიეთითება თავი, მუხლი, პარაგრაფი.

ინტერნეტით მოძიებულ დოკუმენტს უნდა მიეთითოს URL მისამართი.

ლიტერატურის ჩამონათვალში მითითება	საქართველოს პარლამენტი. 1998. *საქართველოს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ.* თბილისი: საქართველოს პარლამენტი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/14704?publication=13
ტექსტში მითითება	(საქართველოს პარლამენტი პარლამენტი 1998, თავი 2, მუხლი 11/1)

საჯარო დოკუმენტი/ ბრძანება/დადგენილება

ზოგადი მოდელი: დოკუმენტის მიმღები ორგანო, წელი, *სათაური*, პუბლიკაციის ადგილი, გამომცემლობა ან დოკუმენტის მიმღები ორგანო. ტექსტში მიეთითება კონკრეტული გვერდი.

ინტერნეტით მოძიებულ დოკუმენტს უნდა მიეთითოს URL მისამართი.

ლიტერატურის ჩამონათვალში მითითება	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. 2011. *საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-9/ნ ფარმაცევტული პროდუქტის გამოწერის და რეცეპტის ფორმის შესახებ.* თბილისი: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. https://www.moh.gov.ge/uploads/files/oldMoh/01_GEO/Kanonmdebloba/Brdzanebebi/01-9N.pdf
ტექსტში მითითება	(საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო 2011, 4).

სხვა სახის ელექტრონული რესურსი

ვებგვერდი

ზოგადად, ვებსაიტიდან გამოყენებული ინფორმაცია (ვებგვერდის შინაარის ფორმით) ეთითება ტექსტში.

თუ ასეთი სახის ინფორმაციას ციტატის სახით იმოწმებთ, უნდა მიეთითოს ვებგვერდის ყველა არსებული მახასიათებელი: კონკრეტული გვერდის დასახელება, საიტის აღწერა, საიტის მფლობელი და URL მისამართი. ასევე, მიეთითება ატვირთვის თარიღი, ასეთი მონაცემის არქონის შემთხვევაში კი - მოძიების თარიღი.

ზოგადი მოდელი: ვებგვერდის სახელწოდება, წელი, მასალის *სათაური*, ატვირთვის ან მოძიების თარიღი, URL მისამართი.

ლიტერატურის ჩამონათვალში მითითება	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2020. *„უნივერსიტეტის ისტორია“.* მოძიებულია 16.06.2020. https://atsu.edu.ge/index.php/university-history-geo
ტექსტში მითითება	(აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2020)

ვებსაიტი

ზოგადი მოდელი: გვარი, სახელი (ტექსტში მხოლოდ გვარი), წელი, *სათაური*, ატვირთვის ან მოძიების თარიღი, სახელწოდება, მასალის სათაური, ატვირთვის თარიღი. ასეთის არარსებობის შემთხვევაში, მოძიების თარიღი, ვებგვერდის URL მისამართი.

ლიტერატურის ჩამონათვალში მითითება	წერედიანი, დავით. 2019. *„განშორების მეცნიერება“.* ატვირთულია 15.04.2019. https://textualscholarship.blogspot.com
ტექსტში მითითება	(წერედიანი 2019)

ბლოგი

ბლოგიდან ციტირებული მასალა მეთითება ისევე, როგორც ონლაინ გაზეთების წერილი: პოსტის ავტორი, წერილის სათაური (ბრჭყალებში), ბლოგის სათაური (იტალიკით), გამოქვეყნების თარიღი და URL. ბლოგის სათაურს ემატება სიტყვა ბლოგი, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, როდესაც ის არ არის სათაურის ნაწილი. თუ კონკრეტული ბლოგი სხვა უფრო ზოგადი გამოცემის ნაწილია, მაშინ მიეთითება ამ უკანასკნელის სახელიც.

ბლოგის პოსტებიც ისევე, როგორც საგაზეთო წერილები, შესაძლებელია მიეთითოს მხოლოდ ტექსტში ან შენიშვნაში.

ზოგადი მოდელი: გვარი, სახელი (ტექსტში მხოლოდ გვარი), წელი, სათაური, ბლოგის *სახელწოდება*, თვე და წელი.

ლიტერატურის ჩამონათვალში მითითება	Heath Victoria. 2020. „From Historic Images to Galactic Datasets: A Look at NASA's Mission to Be Open“. *Creative Commons* (Blog). May 25, 2020. https://creativecommons.org/2020/05/25/from-historic-images-to-galactic-datasets-a-look-at-nasas-mission-to-be-open/
ტექსტში მითითება	(Heath 2020)

DVD/ CD

ზოგადი მოდელი: გვარი, სახელი (ტექსტში მხოლოდ გვარი), წელი, *სათაური*, გამოცემის ადგილი (არსებობის შემთხვევაში), ციფრული მატარებელი.

ლიტერატურის ჩამონათვალში მითითება	ერქომაიშვილი, ანზორ. 2015. *ჩემი ბაბუა არტემ ერქომაიშვილი.* თბილისი, DVD.
ტექსტში მითითება	(ერქომაიშვილი 2015).

YouTube ვიდეო

ზოგადი მოდელი: გვარი, სახელი (ტექსტში მხოლოდ გვარი), წელი, სათაური, გამოცემის ადგილი (არსებობის შემთხვევაში), ციფრული მატარებელი, ატვირთვის დრო.

ლიტერატურის ჩამონათვალში მითითება	ჩარკვიანი, გელა. 2019. „the language - როგორ ვსწავლობდი და ვასწავლიდი“. YouTube ვიდეო, 20:01. https://www.youtube.com/watch?v=0ZtCPueHlR4

ტექსტში მითითება	(ჩარკვიანი 2019)

პოდკასტი

ზოგადი მოდელი: გვარი, სახელი (ტექსტში მხოლოდ გვარი), წელი, მასალის სათაური, პოდკასტის *სახელწოდება*, გამოცემის ადგილი, თვე და წელი, ციფრული მატარებელი, ხანგრძლივობა.

ლიტერატურის ჩამონათვალში მითითება	ბერძენიშვილი, ლევან. 2019. „კუბოდან შემოთვლილი სიყვარული“. *ლიტერატურული წახნაგები.* პოდკასტი. 24 სექტემბერი, 2019. ვიდეო, 38:08. https://www.radiotavisupleba.ge/a/30181099.html
ტექსტში მითითება	(ბერძენიშვილი 2019)

ვიდეო ვებგვერდიდან

ზოგადი მოდელი: გვარი, სახელი (ტექსტში მხოლოდ გვარი), წელი, სათაური, ვებგვერდის *სახელწოდება*, გამოცემის ადგილი (არსებობის შემთხვევაში), ციფრული მატარებელი, ხანგრძლივობა.

ლიტერატურის ჩამონათვალში მითითება	შმალი, პიტერ. 2017. „არქიტექტურის მუზეუმის როლი“. *შემოქმედებითი საქართველო.* 14.11.2017, ვიდეო, 1:16:38. http://creativegeorgia.ge/development/video-leqciebi/arqiteqturis-muzeumis-roli.aspx
ტექსტში მითითება	(შმალი 2017)

სოციალური მედია

სოციალურ მედიაში (Twitter, Facebook, Instagram...) გაზიარებული პოსტის ციტირება შესაძლებელია მხოლოდ ტექსტში. იშვიათ შემთხვევაში ის შეიძლება მიეთითოს წყაროების ჩამონათვალშიც.

Twitter

ზოგადი მოდელი: გვარი, სახელი (ტექსტში მხოლოდ გვარი), წელი, სათაური ან ფრაზა (საკმარისია ოთხი სიტყვა), ვებგვერდის სახელწოდება, გამოცემის ადგილი (არსებობის შემთხვევაში), თარიღი, საათი (არსებობის შემთხვევაში).

ლიტერატურის ჩამონათვალში მითითება	Mask, Elon (@elonmask). 2020. „Open your eyes, look up to the skies“, Twitter, May 23, 2020. 3:24 AM. https://twitter.com/elonmusk/status/1263974008900382721
ტექსტში მითითება	(Mask 2020)

Facebook

ზოგადი მოდელი: გვარი, სახელი (ტექსტში მხოლოდ გვარი), წელი, სათაური ან ფრაზა (საკმარისია ოთხი სიტყვა), ვებგვერდის სახელწოდება, გამოცემის ადგილი (არსებობის შემთხვევაში), თარიღი, საათი (არსებობის შემთხვევაში).

ლიტერატურის ჩამონათვალში მითითება	ბრეგაძე, ლევან . 2020. „როგორ შეიძლებოდა საბჭოთა ტურისტის ცნობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში“, ფეისბუქი, 28 მაისი, 2020. https://www.facebook.com/levan.bregadze.3/posts/10217914746514293
ტექსტში მითითება	(ბრეგაძე 2020)

სხვა წყაროები

ბროშურა/ბუკლეტი

ბროშურა/ბუკლეტი მიეთითება ისე, როგორც წიგნი ავტორით ან ავტორის გარეშე. ასეთი მასალის მითითებისას სასურველია ჩაიწეროს დოკუმენტის იდენტიფიცირებისათვის საჭირო ყველა არსებული მახასიათებელი. დაუთარიღებელი პუბლიკაცია აღინიშნება აბრევიატურით - თ.გ. (თარიღის გარეშე).

ლიტერატურის ჩამონათვალში მითითება	საქართველოს ტყეები. მოვლა, აღდგენა, გაშენება. საინფორმაციო ბროშურა. თ. გ. სპონსორები: შპს ჰარმონია, აშშ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი, აშშ საელჩო, შპს გონი.
ტექსტში მითითება	(საქართველოს ტყეები, თ. გ., 8)

ერთი წყარო ციტირებული მეორეში

ციტირებას მიმართეთ ორიგინალური წყაროდან, მაგრამ თუ გარდაუვალია ციტირება მეორეული წყაროდან, მაშინ აუცილებლად უნდა მიეთითოს ორივე ნაშრომი.

ზოგადი მოდელი: პირველი წყაროს ავტორის გვარი, სახელი (ტექსტში მხოლოდ გვარი), წელი, *სათაური*, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, გვერდი, მეორეული წყაროს ავტორისგვარი, სახელი (ტექსტში მხოლოდ გვარი), წელი, *სათაური*, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, გვერდი.

ლიტერატურის ჩამონათვალში მითითება	ჩიქობავა, არნოლდ. 1939. *ზოგადი ენათმეცნიერება,* I, თბილისი, 174. ციტირებულია წიგნიდან: გურამ რამიშვილი. 1995. *ენათა შინაარსობრივი სხვაობა ენათმეცნიერებისა და კულტურის თეორიის თვალსაზრისით.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 72.
ტექსტში მითითება	(ჩიქობავა 1939, 174)

საარქივი მასალა

საარქივო მასალის დამოწმებისას უნდა მიეთითოს დოკუმენტის სახელწოდება, აღწერილობა და ყველა იდენტიფიკატორი დოკუმენტის სპეციფიკისა და მონაცემების გათვალისწინებით.

ზოგადი მოდელი: სახელწოდება, თარიღი, დოკუმენტის ნომერი, ადგილი, სადაც ინახება ფონდი.

ლიტერატურის ჩამონათვალში	ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიწერ-მოწერა სხვადასხვა ორგანიზაციებთან ილია ჭავჭავაძის

მითითება	ძეგლის დადგმის შესახებ 1908-1913 წწ. საქართველოს ეროვნული არქივი. ქშწკგ საზოგადოების საარქივო ფონდი. 1125(№ 1077) ფურც./დოკ. 101.
ტექსტში მითითება	(ქართველთა შორის წერა-კითხვის 1908-1913, 1125(№ 1077), 101)

კონფერენციის/ სიმპოზიუმის გამოქვეყნებული მასალები

ზოგადი მოდელი: გვარი, სახელი (ტექსტში მხოლოდ გვარი), წელი, სათაური, კონფერენციის/სიმპოზიუმის *სახელწოდება*, გვერდების საერთო მოცულობა. გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, URL მისამართი.

კონფერენციაზე/სიმპოზიუმზე წაკითხული მოხსენების დამოწმებისას ეთითება ფორუმის ჩატარების თარიღი (დაწყებისა და დამთავრების რიცხვები, წელი). გვერდი, URL მისამართი.

ლიტერატურის ჩამონათვალში მითითება	ჭილაია, რამაზ. 2020. „ცვლილებათა ეპოქის ტექსტები“. *ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები: XX საუკუნის 80-90-იანი წლების პოლიტიკური მოვლენები და ლიტერატურული დისკურსი* . XIII საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, ნაწილი I: 315-328. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.
ტექსტში მითითება	(ჭილაია 2020, 324)

დისერტაცია

დისერტაცია გამოუქვეყნებელი დოკუმენტია. ასეთი ტიპის მასალის გამოყენებისას ის მიეთითება, როგორც წიგნი, ოღონდ აუცილებლად უნდა იქნას აღნიშნული, რომ დისერტაციის ტიპი და დაცვის ადგილი.

ზოგადი მოდელი: ავტორი (ბ. - გვარი, სახელი, სქ. - სახელი, გვარი), *სათაური,* დისერტაციის ტიპი, დაცვის ადგილი, წელი. URL მისამართი (თუ მასალა მოძიებულია ელექტრონული რესურებიდან).

ლიტერატურის ჩამონათვალში მითითება	ჩუბინიძე, კახა. *საკოორდინატო ღერძების მობრუნება და ინტეგრალთა დიფერენცირება ძვრის მიმართ ინვარიანტული ბაზისების მიხედვით.* დისერტაცია მათემატიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016.
ტექსტში მითითება	(ჩუბინიძე 2016, 45).

მუსიკალური ნოტები

ზოგადი მოდელი: გვარი, სახელი (ტექსტში მხოლოდ გვარი), წელი, *სათაური*, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, URL მისამართი (თუ მასალა მოძიებულია ელექტრონული რესურებიდან)

ლიტერატურის ჩამონათვალში	ყანჩელი, გია. 2009. *კინოს და თეატრის მუსიკა ფორტეპიანოსათვის.* რევაზ გაბრიაძის ჩანახატებით. თბილისი: საუნდ ორბიტი, 2009.

მითითება	
ტექსტში მითითება	(ყანჩელი 2009).

ნახატი, ფოტოსურათი, სკულპტურა

ზოგადი მოდელი: ავტორი, სახელწოდება, თარიღი, აღწერილობა (მასალა, ზომა და ა. შ.), ადგილმდებარეობა, URL მისამართი.

თუ ასეთი მასალა დამოწმებულია დაბეჭდილი წყაროდან, მაშინ უნდა მიეთითოს ალბომის (წიგნის) სახელწოდება, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, წელი, გვერდი ან სურათის ნომერი.

ლიტერატურის ჩამონათვალში მითითება	ახვლედიანი, ელენე. „პარიზი“. 1925. ფერწერა, ზეთი, ტილო, ორიგინალის ზომა: 38,5x45,5 სმ. Iverieli. ფიროსმანი: ხელოვნების ციფრული მუზეუმი/ ფერწერა გრაფიკა, http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/89584
ტექსტში მითითება	(ახვლედიანი, 1925)

ბიბლიის, სხვა რელიგიური, კლასიკური და შუა საუკუნეების წიგნების ციტირების თავისებურებები

ბიბლია და სხვა რელიგიური წიგნები მიეთითება მხოლოდ სქოლიოში. დასახელებები იწერება შემოკლებით და არაბული ციფრებით, მაგ.: 1 მეფ. 2:16. პირველად დამოწმებისას ფრჩხილებში ეთითება ვერსია, რომლითაც სარგებლობთ. მაგ.: ლუკ. 11:49 (საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, 2009). არ გამოიყენება დახრილი შრიფტი.

კლასიკურ და შუა საუკუნეების ლიტერატურას გააჩნია დამოწმების სპეციფიკური ფორმატი, რომელიც მოიცავს ავტორს, ნაწარმოების სახელწოდებას და სექციის ნომერს, მაგ.: ჰომ. *ილ.* I, 68-70. ლიტერატურის ჩამონათვალში ავტორი და სათაური იწერება სრულყოფილად.

ცხრილებისა და სურათების დართვისას გასათვალისწინებელი ზოგადი მოთხოვნების შესახებ

სამეცნიერო ნაშრომს შესაძლებელია ახლდეს ცხრილები და სურათები (ამ უკანასკნელს ნახატსაც უწოდებენ). სურათებში იგულისხმება დიაგრამები, რუკები, სქემები, გრაფიკები, ფოტოსურათები, ნოტები და სხვა გრაფიკული გამოსახულებები.

არატექსტური მასალის ნაშრომისათვის დართვის დროს მნიშვნელოვანია ზოგიერთი მოთხოვნის გათვალისწინება.

- მცირე ზომის ცხრილები და სურათები უმჯობესია განთავსდეს ტექსტშივე შინაარსის შესაბამის ადგილას.
- თუ ცხრილებისა და სურათების ჩასმა სიდიდის გამო ვერ ხერხდება ტექსტში, თავსდება ნაშრომის ბოლოს დანართის სახით.
- შესაძლებელია რამდენიმე მცირე მოცულობის ცხრილის ან სურათის დაჯგუფება ოღონდ ისე, რომ წარწერებით მკაფიოდ იყოს გამიჯნული ერთმანეთისაგან.

- როდესაც არატექსტურ მასალას იყენებთ სხვა პუბლიკაციებიდან, აუცილებლად მიუთითეთ წყარო. წყარო ეთითება გამოსახულების ქვემოთ ტექსტში მითითების სტილით, ფრჩხილების გარეშე. ინფორმაცია სრულად იწერება ლიტერატურის ჩამონათვალში. თუ ასეთ მასალას ჰყავს ავტორი, მიეთითება ავტორიც.
- ცხრილის ნომერი და სათაური იწერება ცხრილის ზემოთ მარცხნივ სწორებით ძირითად ტექსტზე მცირე ზომის შრიფტით. ჯერ იწერება სახელწოდება ცხრილი, შემდეგ ნომერი არაბული ციფრით, რომლის ბოლოს დაისმის წერტილი (მაგ., ცხრილი 5.). შემდეგ იწერება სათაური, წერტილის გარეშე (მაგ. ცხრილი 5. ექსპორტის ზრდა ქვეყნების მიხედვით). ცხრილის ნომერი ტექსტშიც არაბულით აღინიშნება (მაგ., მე-5 ცხრილში მოცემულია.... ან იხ. ცხრ. 5). როდესაც ცხრილის სათაური იკავებს ერთ სტრიქონზე მეტს, სწორდება მარცხნივ.
- სურათები ინომრება და წარწერები კეთდება ქვემოთ. სურათი ინომრება არაბული ციფრით, რომლის ბოლოს დაისმის წერტილი. წარწერები კეთდება ძირითად შრიფტზე მცირე ზომის შრიფტით მარცხნივ სწორებით. სიტყვა - სურათის შემდეგ იწერება სათაური, რომელიც, ასევე, სრულდება წერტილით. (მაგ., სურათი 2. ქუთაისის ისტორიული მუზეუმი.). სურათის ნომერი ტექსტშიც არაბულით აღინიშნება (მაგ., მე-2 სურათი გამოსახავს.... ან იხ. სურ. 2). როდესაც სურათის სათაური იკავებს ერთ სტრიქონზე მეტს, სწორდება მარცხნივ.
- თუ ერთ ნაშრომს ახლავს როგორც სურათები, ისე ცხრილები, უნდა დაინომროს ცალ-ცალკე (მაგ., სურათი 1., ცხრილი 1.).

დამატებით შეგიძლიათ იხ.:

თურაბიანი, ქეით ლ. 2007. სახელმძღვანელო რეფერატების, თეზისების და დისერტაციების ავტორებისათვის: „ჩიკაგოს სტილი“ სტუდენტებისა და მკვლევრებისათვის. მეშვიდე გამოცემა. ჩიკაგო, ლონდონი: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა. https://docs.google.com/viewer?a=v&pid=sites&srcid=aWxpYXVuaS5lZHUuZ2V8YXVkaW8tbWFzYWxlYml8Z3g6NzkxODQ1YTlmODkyN2RmOA

Turabian, A Manual for Writers. https://www.chicagomanualofstyle.org/turabian/citation- guide.html

The Chicago Manual of Style. 2006. 15th Edition. University of Chicago Press. ed. Chicago: University of Chicago Press. https://epdf.pub/queue/the-chicago-manual-of-style.html

The Chicago Manual of Style, 17th Ed. https://www.chicagomanualofstyle.org/home.html

Chicago Citation Style Examples. 2017. 17th Edition. https://www.wsc.edu/download/downloads/id/1843/chicago_citation_style_examples_-_17th_edition.pdf

Chicago Style Citation. https://www.scribbr.com/category/chicago-style/